# საქართველოს რესპუბლიკა

იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდური სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბრძოლის გატანა ყოვლად უკადრისობაზე უსაძაგლესია.

გამოდის 1918 წლის 25 ივლისიდან

ოთხშაბათი-ხუთშაბათი, 1-2 დეკემბერი. 2021 წ. №207 (9326) ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge | ფასი 1 ლარი


# დრომოჭმული ავტოკრატის აბსურდული ბოდვები!

2

## ...ფოიერვერკი, რომელიც ვერ შედგა

4

## უმეცარი მიშა: „წაიკითხეთ და აღივსეთ შურით, მე იბერიის ვარ შემოქმედი“!

## ირაკლი კობახიძე: „პატრიარქის შემოდგომა“...

**მიხეილ სააკაშვილის გამოსვლამ ალბათ ყველას გაგვახსენა მარკესის ცნობილი ნაწარმოები „პატრიარქის შემოდგომა“. ყველამ ვიხილეთ ყოფილი დიქტატორი, რომელიც მისტირის ჭარბ ძალაუფლებას, რომელიც მას თავის დროზე ჰქონდა და რომელსაც წლების განმავლობაში ბოროტად იყენებდა,** — ასე შეაფასა პარტია „ქართული ოცნების“ თავმჯდომარემ, ირაკლი კობახიძემ სასამართლო პროცესზე მიხეილ სააკაშვილის სიტყვით გამოსვლა.

**„ჩვენ გვახსოვს მის მიერ ჩადენილი დანაშაულები და კიდევ უფრო მეტად მნიშვნელოვანია, რომ მას წარსულში ჩადენილი აქვს უმძიმესი დანაშაულები, ის დღესაც, დღემდე, რომ გამოვიყენოთ სისხლის სამართლის ტერმინოლოგია, არის საზოგადოებრივად საშიში“...**

5

## „ყიფშიძეს პაციენტი შემოაკვდაო, „ქართუს“ 50 მილიონი გაფლანგაო...

7

## გურამ ახალაიასეული ხელნაწერი „ვეფხისტყაოსანი“

# 103 წლის „საქართველოს რესპუბლიკა“ შენი გაზეთია!

1918 წლის 25 ივლისს დაარსებული პირველი დამოუკიდებელი მაშინდელი მთავრობის მოამბე „საქართველოს რესპუბლიკა“ რის ვაივაგლახით დღესაც გამოდის!

რასაც აქ წაიკითხავ, ვერც ერთ სოციალურ ქსელში ვერ ნახავ, ვერც ერთი ქართული ტელეეკრანიდან ვერ მოისმენ!

გაზეთი მაინც შეუცვლელია, ოდნავ წიგნიერი კაცისთვის გაზეთის კითხვა სულის ბუნებრივი მოთხოვნილებაა!

კოვიდ 19-ის პანდემიამ, როგორც ყველაფერს, ჟურნალ-გაზეთების გავრცელებასაც დიდად ავნო, მკითხველმა იკლო, რეკლამამ იკლო, თითქმის არც ერთი პერიოდული გამოცემა არ იყიდება, უფრო ზუსტად, ძალიან ცოტა იყიდება! ბუნებრივია, ეს მომაკვდინებლად მოქმედებს ბეჭდვურ მედიაზე! ერთადერთი გზა, რაც გადაარჩენს ქართულ პრესას, ის არის, რომ ჩვენმა ინტელიგენციამ, ჰკუადამჯდარმა ხალხმა გამოძებნოს უმცირესი ფინანსური საშუალება და პირი იბრუნოს პრესისკენ, ყოველდღიურად იყიდოს ან გარკვეული დროით გამოიწეროს ესა თუ ის გამოცემა, იმათ შორის, რა თქმა უნდა, ყველაზე ძველი, სანდო და პრინციპული საზოგადოებრივ-პოლიტიკური, 103 წლის გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“.

გულწრფელად და დიდი სინანულით უნდა გითხრათ:

„საქართველოს რესპუბლიკა“ რომ რიგითი მკითხველის, ქართული ბიზნესის და დღევანდელი მთავრობის ტრადიციული უყურადღებობის გამო დაიხუროს, ერის საერთო სირცხვილია!

ეს იმაზე უარესია, რაც იმთავითვე შეურაცხადმა, გიჟმა და მავნებელმა მიხეილ სააკაშვილმა უქნა ქართულ პრესას, როცა 2007 წლის 10 აგვისტოს ქართველ ჟურნალისტთა მთელი არმია, 30-ზე მეტი რედაქცია თავისივე სახსრებით აშენებული პრესის სახლიდან — გამომცემლობა „სამშობლოდან“ დაუნდობლად გამოყარა!

სწორედ იქიდან დაიწყო ქართული ბეჭდვური მედიის დაღმასვლა და განადგურება! ნუ ვჭამთ კიდევ ერთ საყოველთაო ეროვნულ სირცხვილს, ქართველებო!


## გადაარჩინეთ ქართული პრესა!

## იყიდეთ, გამოიწერეთ „საქართველოს რესპუბლიკა“

ხელმოწერისთვის მიმართეთ: „ელვა.ჯი“, www.elva.ge; ტელ: 23822673; 2 382674; 577991651; 595 382626; „პლანეტა ფორტეს“ — 2 92 18 59; 599 947 311; 579 79 99 08;

მოგვმართეთ რედაქციაში, ვაჟა ფშაველას 48
ტელ: 599 797 679; 599 36 00 35;
ელ: ფოსტა: sakresp@mail.ru. sakresp@top.ge

# დრომოჭმული ავტოკრატის აბსურდული ბოდვები!

## შალვა პაპუაშვილი:
## სააკაშვილის მხრიდან საქართველოს ალტერნატიული ისტორია მოვისმინე

...მიხეილ სააკაშვილმა თქვა, რომ გირგვლიანის საქმე არ არსებობს და ეს იყო პიარი. ასევე 7 ნოემბერი იყო გეოპოლიტიკური საფრთხეებიდან დაცვა. ეს არის ალტერნატიული ისტორიის ნაწილი, რომელსაც „ნაციონალური მოძრაობა“ მმართველობის ცხრა წლის განმავლობაში ყვებოდა და ახლა ისევ აგრძელებენ ისტორიის ასე წარმოჩენას და მხარდაჭერების დაჯერებას.

მიხეილ სააკაშვილის გამონათქვამები თითქოს და რეფორმებს სჭირდებოდა, ეს არის ცინიკური მიდგომა — როცა ხეს ჭრი, ნაფოტები ცვივა. სამწუხაროდ, როცა სინანული არ არსებობს, სწორედ ასე ნაფოტებად ხედავენ გირგვლიანს, დარბეულ ადამიანებს და იმ მსხვერპლებს, ვინც სააკაშვილის მსხვერპლნი არიან. სინანულის ორი აქტი არსებობს — ადამიანური, რომელიც მას არ აქვს და სამართლებრივი სინანული.

როგორც ხედავთ, ის სამართლებრივად არ ინანიებს მის მიერ ჩადენილ ქმედებებს. გირგვლიანის საქმეზე მისჯილი აქვთ და როგორც ჩანს, არც ადამიანურად, არც სამართლებრივად არ ინანიებს. 7 ნოემბრის საქმეში დემონსტრანტების დარბევის გარდა, არსებობს ტელევიზიის დარბევის და მისაკუთრების საქმე.

ის კადრები კარგად გვახსოვს, როცა თითქოს, ეს იყო ბიზნესტრანზაქციები და სინამდვილეში გიორგი არველაძეს ერთ ლარად ტელევიზიის გასაღები გადასცა! ხომ არ იტყვის, დამნაშავე ვარო და რაღაცეები უნდა გამოიგონოს. როცა ხდება კონტექსტის გარეშე რუსეთის მოშველიება, „ნაციონალური მოძრაობა“ აუბრალოებს ოკუპაციის სიმძიმეს და აწვრილმანებს ცალკეულ ადამიანებზე. რუსეთის მოყვანა არგუმენტად გაცვეთილია და არავინ უსმენს.

რაც შეეხება მის განცხადებას სიყვარულზე და სითბოზე, გასაგებია, რომ ის იდილია არ დახვდა, რაც მის დროს მედიაში სუფევდა, რადგან მთელი მედია ერთი ხელით იმართებოდა და ვნახულობდით, როგორი მშვენიერი იყო ქვეყანა და როგორ ვითარდებოდა. ერთი ობიექტი რამდენჯერმე იხსნებოდა და გვაჯერებდნენ, რომ ეს იყო უნიკალური საწარმო. ციხესა და მის გარეთ ადამიანის უფლებების დარღვევა მიმდინარეობდა, მაგრამ მიგვაჩნდა, რომ ჩვენ ვიყავით დემოკრატიის შუქურა. როგორც ჩანს, ამ თვალსაზრისით სხვაობა იხილა“...

## ირაკლი ზარქუა:
## ...ქუჩაში ადამიანების ჩახოცვა, ბიზნესის რეკეტი, არა, ბატონო მიშა, ეს არ მოენატრა საქართველოს!

...საქართველოს ეს არც მოენატრება და არც გაპატიებს. ეს მაგალითი იქნება არა მხოლოდ მისი რეჟიმისთვის, არამედ ყველა მთავრობისთვის. 7 ნოემბერზე გაკეთებული განცხადება მაგალითია მისი სექტის მიმდევრებისთვის. სააკაშვილის ბრძანების გარეშე ქვეყანაში ჩიტიც ვერ დაფრინავდა. ახლა დაიწყეს არ ვიცოდიო — ალბათ, გირგვლიანის მკვლელობაზე არაფერი იცოდა, გელაშვილის ცემის ფაქტი? — არც მომიტინგეების დარბევა, ვიღაცეებმა დაარბიეს, ეგ ხომ, დემოკრატიის შუქურა იყო. ამ მრწამსით, ღირებულებით და აფერისტობით რომ არის, ამიტომ, ფართხალებს, სადაც ახლა ფართხალებს.

2012 წლის მთავარი დაპირება იყო, რომ ნომერი პირველი ჯალათი ციხეში უნდა ყოფილიყო და არის. მიხეილ სააკაშვილი არის ნომერ პირველი ჯალათი, რომელიც იმდენად ცინიკოსია, რომ იმის ნაცვლად, რომ გამოვიდეს და თქვას, შეცდომა დავუშვი, ტრაგედია იყო და არ უნდა განმეორდეს, ახლა გადაბრალებები სხვაზე დაიწყო. ეს არის მისი გუნდისთვის მაგალითი, რადგან ცოტა ხანში კალამს ვერ გააგდებინებენ ხელიდან, ახლა დაიწყებს რეალური ჩვენებების მიცემას.

## უმეცარი მიშა:
## „წაიკითხეთ და ალივსეთ შურით, მე იბერიის ვარ შემოქმედი“!

ზვიად გამსახურდიასა და მერაბ კოსტავას ნუ შეედრება, ეს ადამიანები დიქტატურას ებრძოდნენ. თავად რა გააკეთა? — საქართველოს პასპორტი დახია, უკრაინას შეეკედლა და ახლა იქიდანაც გამოაგდეს.

როგორც ირკვევა, საქმეა აღძრული, სადაც პუტინის ოლიგარქთან ურთიერთობა უდასტურდება. ეჭვი მაქვს, რომ ამას გამოექცა და ეგონა, აქ რევოლუციას დაატრიალებდა. რა კაცობაა, საქართველოში არაჟნებში ჩამალული შემოვიდა და პრეტენზია აქვს ეროვნულ მოძრაობაზე. ამ ფონზე ზვიად გამსახურდიას ეტოლება.

## ედიშერ გვენეტაძე:
## ფულის დამრიგებელნი არიან კოლექტიური მეგის ქარდავები!

...ნახეთ, როგორ ურიგებენ სასამართლოს ეზოში ფულს ნაცების მიერ მოყვანილ ადამიანებს!

ეს ფულის დამრიგებელნი არიან კოლექტიური მეგისა ქარდავები!

რომლებიც ყოველ წუთსა და ყოველ წამს ცდილობენ დააბრუნონ სააკაშვილის მიერ შექმნილი ადამიანთა წამების, გაუპატიურების, დახოცვის სისტემა!“

## ალეკო ელისაშვილი:
## ნაცების მხარდამჭერებს სურთ, სააკაშვილის თავს რაღაც დრამატული მოხდეს!

„ნაციონალური მოძრაობის“ წევრმა თქვა, რომ მიხეილ სააკაშვილის მიმართ დამიზნებით სხივები მიდის. იქ (გორის ჰოსპიტალში) ასობით ადამიანი მუშაობს და მკურნალობს. ასეთი სისულელე თქვა და საღამოს გადაცემებში ალაპარაკებდნენ.

შემდეგ სხვა ოპოზიციონერები გამოჩნდნენ, რომლებიც ამ სისულელეში შეეცილნენ. გულდასაწყვეტია, რომ „ქართული ოცნებისა“ და „ნაციონალური მოძრაობის“ შეჯიბრში იმდენი დრო იკარგება, რომ მიღმა რეალური პრობლემები გვრჩება.

როცა სააკაშვილი შიმშილობდა, ორივე მხარეს უნდოდა, სიკვდილამდე მისულიყო. „ქართულ ოცნებას“ ერთი სული ჰქონდა, ეს კაცი თავიდან მოეცილებინა. „ნაციონალურ მოძრაობაში“ ადამიანები იყვნენ, რომელთაც ერთი სული ჰქონდათ, სააკაშვილს რამე დამართნოდა და რევოლუციის შანსი ჰქონოდათ. როგორც ჩანს, ეს განცდა მხოლოდ მე არ მქონდა, რადგან მის შვილსაც იგივე განცდა ჰქონდა.

„ნაციონალურ მოძრაობაში“ ძალიან ბევრს ერთი სული ჰქონდა, მომკვდარიყო. მგონი, მარტო მე ვგულშემატკივრობდი, შიმშილობა შეეწყვიტა. ადამიანურად მეცოდებოდა, პოლიტიკურად — არა. უჩხიკინებდნენ და აქეზებდნენ.

ახლაც იგივე გრძელდება, „ნაციონალური მოძრაობის“ მხარდამჭერებს უნდათ, რამე დაემართოს და სააკაშვილის თავს რაღაც დრამატული მოხდეს. ვინაიდან, გორის ჰოსპიტალში გადაიყვანეს, ჭამს და მკურნალობს, ახლა უჩხიკინებენ გასხივებენო!..

## ზურაბ ქადაგიძე:
## მულტფილმის პერსონაჟს რომ დაემსგავსე, მიხეილ, ეგ თუ იცი შენ?

ანალიტიკოსი ზურაბ ქადაგიძე ეხმიანება მიხეილ სააკაშვილის მიმდინარე სასამართლო პროცესს, რომელმაც თავის მხრივ განაცხადა, რომ არ აღიარებს პროკურატურას და ქართულ მართლმსაჯულებას და არ სურს წინასწარ დაწერილი კომედიის ნაწილი გახდეს.

„მულტფილმის პერსონაჟს რომ დაემსგავსე, მიხეილ, ეგ თუ იცი შენ?! „აქეთ გორასა წიხლსა ვკრავ, იქით გორასა ძვრას ვუზამო!..“

— უმეცარი თაგვი, რომ არის მშიშარა და თან მკვეხარა, ეგრეა შენი საქმეც!

— რევოლუციას ქადაგებ და ციხის გეშინია...

— შიმშილობას აცხადებ და თან თაფლი გესაჭიროება...

— თავგანწირვას იჩემებ და დედა, ცოლები, დეპუტატები და ექიმები გესაჭიროება...

გარეგნული სიდიდის მიუხედავად, ზუსტად იმ თაგვივით ხარ საკუთარი ჩრდილისაც რომ ეშინია.

P. S. ხუმრობა იქით იყოს და რას დაემსგავსე მთავარსარდალი კაცი...

## მმართველი გუნდის რეაქცია სააკაშვილის სასაცილო ბოდვებზე!
## არჩილ თალაკვაძე:

...სააკაშვილი ამბობდა, რომ სურდა, სასამართლო პროცესში მონაწილეობა და დღეს თქვა, რომ ქართულ მართლმსაჯულებას არ აღიარებს, რაც არათანმიმდევრულია და ურთიერთგამომრიცხავია.

„ნაციონალური მოძრაობა“ ამბობდა, რომ სასამართლო სხდომის დროს არანაირ პროვოკაციას არ მიმართავდნენ, თუმცა დღეს ვნახეთ, რომ მაღალი ალბათობით, ისინი როგორ არიგებდნენ თანხას მომიტინგეების მოსაყვანად. ასევე საზოგადოებამ იხილა, რომ ადგილი ჰქონდა მშვიდობიანი მანიფესტაციის შესახებ კანონმდებლობის სავარაუდო დარღვევებს, როცა მოხდა ქუჩებში ხელოვნურად დაბლოკვა. ეს მაშინ, როცა პანდემიის პირობებში მოქალაქეებს დახმარება სჭირდებათ და გადაადგილება არის კრიტიკულად მნიშვნელოვანი.

მთავრობას აქვს სრული მხარდაჭერა, რომ ნებისმიერი კანონდარღვევა აღკვეთოს პროპორციულად და შეინარჩუნოს საზოგადოებრივი წესრიგი. რაც შეეხება თავად შოუს, რისი მოწყობაც სურდა თავად სააკაშვილს, ეს არ არის მნიშვნელოვანი, მნიშვნელოვანია ის ინიციატივები, რაც პრემიერმა დააანონსა“.

## ბექა დავითულიანი:

„ეს იყო დრომოჭმული ავტოკრატის აბსოლუტურად აბსურდული, საკუთარი მსხვერპლების მიმართ ნულოვანი ემპათიის და სინანულის შეგრძნების მქონე ადამიანის გამოსვლა, რომელიც საერთოდ არ ნანობს არაფერს, რისთვისაც მსჯავრდებული და ბრალდებულია.

პირიქით, ყველას უმტკიცებს უკვე ყავლგასულად, რომ ის არის საქართველოს დამფუძნებელი მამა და 3000 წლოვანი ისტორიის მქონე ქვეყანაში თავს ისე წარმოაჩენს, თითქოს მან შექმნა ეს ქვეყანა. ვიმეორებ, ეს არის აბსოლუტური აბსურდი, რომლის ლეგალიზებაც სურს მიხეილ სააკაშვილს და მის პარტიას. ჩვენ ასევე მოვისმინეთ მისი სიტყვები, რომ უკრაინის მოქალაქეა და პროცესზე თარჯიმანით უნდა ყოფილიყო უზრუნველყოფილი, ეს მის დამოკიდებულებას ზუსტად აჩვენებს ამ ქვეყნის, ხალხის მიმართ და რეჟიმის მსხვერპლის მიმართაც“.

## მიხეილ სარჯველაძე:

...იმის მცდელობის მიუხედავად, თითქოს დაპირისპირება ვილაცის დროშის ფრიალს მოჰყვა, ყველაფერს პირდაპირ ეთერში ვადევნებდით თვალს და ყველაფერი უდავოა. რა თქმა უნდა, „ნაციონალურ მოძრაობას“ შეეძლო, ეს ყველაფერი აღეკვეთა. იყო გზის გადაკეტვის ხელოვნური მცდელობა, თითქოს, ეს ობიექტურად აუცილებელი იყო. ან როდესაც ვისმენთ, რომ პირობა ჰქონდათ დადებული გორში აქციის გამართვის თავშეკავებაზე, თორე, თბილისში გამართვაზე პირობა არ დაუდიათ, ნათელია, რომ ყველაფერ ამისგან თავშეკავების შესაძლებლობა ჰქონდათ, მაგრამ არ ჰქონდათ ამის სურვილი. სურდათ, დესტრუქცია და ყველაფერს აკეთებენდნენ მდგომარეობის ასარევად...

## თამთა მეგრელიშვილი: ფაქტია, ყოფილი პრეზიდენტი თვითლიკვიდაციის რეჟიმშია და ამას ძალიან ცუდი ბოლო უჩანს!

„პრეზიდენტის სიტყვით გამოსვლა ჩაფიქრებული ეფექტით ვერ შედგა- მან საუბარი როგორც უკრაინის მოქალაქემ ისე დაიწყო და გამოსვლის ბოლოს საქართველოს თავისი პრეზიდენტობაც დაამადლა“, — ასე გამოეხმაურა საჯარო მმართველობის დოქტორი თამთა მეგრელიშვილი მიხეილ სააკაშვილის გამოსვლას სასამართლო სხდომაზე. როგორც მეგრელიშვილი წერს, ყოფილი პრეზიდენტის გამოსვლას ისეთი ეფექტი არ მოუხდენია, როგორსაც ელოდნენ და რომ ის თვითლიკვიდაციის რეჟიმშია გადასული.

„სასამართლო დარბაზში ბრალდებულის სტატუსით საქართველოს ყოფილი პრეზიდენტი საუბარს იწყებს — ... მე ვარ უკრაინის მოქალაქე! კანონით მე საერთოდ უკრაინულად შემეძლო მესაუბრა. თარჯიმანი უნდა მოგეყვანათ, მე მიყვარს უკრაინა. უკრაინას დავუტოვე კანონი მიწის საკუთრების შესახებ, სამშენებლო ნებართვების შესახებ და უკრაინას დავუტოვე უკრაინის ეკონომიკის თავისუფლების აქტი.

გაგიჟებით მიყვარს საქართველო! საქართველოში მე ავაშენე, მე გავაკეთე, მე შევქმენი ...გამოსვლის სიტყვა კარგად დამუშავებული და დაზეპირებული აქვს. ზუსტად იცის რა საკითხს არ უნდა შეეხოს და რა არ უნდა თქვას. ცდილობს არ წამოსცდეს სიტყვები: მე ვაწამებდი, მე დავარბევინე, მე მოვაკვლევინე...გაეპარა რამდენიმე მძიმე ფრაზაც, ერთ — ერთი მაგალითად ასე — „ე.წ გირგვლიანის საძმე არანაირი გირგვლიანის საძმე არაა და პირისთვის დაარძვეს“.

კადრებში ჩანს, რომ სააკაშვილისთვის გვარამია ერთადერთი ნდობით აღჭურვილი პირია (სააკაშვილი მას თვალებში უყურებს და მისი ზურგით სააკაშვილისაკენ შეტრიალება ყოფილი პრეზიდენტისთვის დამშვიდდი, გაჩერდის ნიშნავს). გვარამია ყველანაირად ცდილობს სააკაშვილის ემოციური მდგომარეობა აკონტროლოს.

შესაძლოა სააკაშვილის გამოსვლის ტექსტიც მისი დაწერილია და სააკაშვილმა პრიორიტეტების მიხედვით კარგად დალაგებულ საკითხებს ადგილი საკუთარი განწყობით გადაუნაცვლა. პრეზიდენტის სიტყვით გამოსვლა ჩაფიქრებული ეფექტით ვერ შედგა — მან საუბარი როგორც უკრაინის მოქალაქემ ისე დაიწყო და გამოსვლის ბოლოს საქართველოს მისი პრეზიდენტობაც დაამადლა. ფაქტია, ყოფილი პრეზიდენტი თვითლიკვიდაციის რეჟიმშია და ამას მისთვის ძალიან ცუდი ბოლო უჩანს...

## ნათია თოიძე: ბატონო უკრაინის მოქალაქევ — ბოდიში მოუხადეთ პირველ არხს

...ბატონო უკრაინის მოქალაქევ!

საქართველოს პირველი არხი, რომლის პირდაპირ ეთერშიც ახლა პოლიტიკურ განცხადებებს აკეთებთ, დიახ, ემსახურება ქართულ სახელმწიფოს და ქართულ საზოგადოებას. თქვენი სიტყვა პირდაპირ ეთერში გადაიცემა იმ სასამართლოს შენობიდან, რომელშიც თქვენი ხელისუფლებაში ყოფნის დროს არცერთ ჟურნალისტს ფეხი არ დაუდგამს, გადაღებაზე ხომ საუბარი ზედმეტია. ალბათ არავინ გაგაგებინათ, და ჩემგან იცოდეთ — უკვე რამდენიმე წელია პოლიტიკოსებმა, დაკარგეს პირველი არხი. პირველ არხზე, უკვე ბევრი წელია, „დოკუმენტურ ფილმებს“ და სიუჟეტებს აღარ ამონტაჟებენ პროკურორები და შსს-ს მაღალჩინოსნები, ე.წ. ვიორსტკებს აღარ და ვეღარ წერენ თქვენი თანაგუნდელები (სხვათა შორის ვერც სხვისი).

კეთილი ინებეთ და ბოდიში მოუხადეთ საქართველოს პირველი არხის თითოეულ თანამშრომელს, იმ ცრუ ბრალდებებისთვის, რაც სასამართლოზე იკადრეთ. ბოდიში მოუხადეთ ირაკლი გედეონიძეს, თქვენს ყოფილ ფოტოგრაფს და ახლა პირველი არხის ფოტორეპორტიორს, რომელიც 26 მაისის ფოტოების გადაღების და გავრცელების გამო, მეუღლესთან ერთად, ჯაშუშობის ბრალდებით დააპატიმრეთ, ახლა კი თქვენს წინ დგას და მსჯავრდებული სააკაშვილის ფოტოებს იღებს, რათა ისევ მთელ მსოფლიოს აჩვენოს.....

# ისინი დედაქალაქის კეთილდღეობისთვის იზრუნებენ

## კახა კალაძემ მოადგილეები და საქალაქო სამსახურების ხელმძღვანელები წარადგინა

დედაქალაქის მერმა გუშინ გამართულ ბრიფინგზე მოადგილეები და საქალაქო სამსახურების ხელმძღვანელები წარადგინა. კახა კალაძის თქმით, ვიცე-მერის თანამდებობას კვლავ ირაკლი ხმალაძე ჩაიბარებს.

„ვიცე-მერის თანამდებობაზე კვლავ წარმოგიდგენთ **ირაკლი ხმალაძეს**, რომელმაც, გასული წლების განმავლობაში უდიდესი წვლილი შეიტანა სატრანსპორტო სისტემის მოწესრიგებაში და სხვა მსხვილი რეფორმების განხორციელებაში. ირაკლი ნამდვილად ძალიან ფასეული კადრია, რომელიც ყოველთვის ეძებს ჩვენი ქალაქის განვითარების ახალ სივრცეებს და ერთი შეხედვით გამოუვალ მდგომარეობაშიც კი ოპტიმალურ გამოსავალს პოულობს ჩვენი ქალაქისა და მოქალაქეების ინტერესების სასარგებლოდ. მერის მოადგილის პოსტზე წარდგენილია **ილია ელოშვილი**, მინდა პირადად ჩემი, ჩვენი გუნდისა და თბილისელების სახელით უდიდესი მადლობა გადავუხადო მას, დაუსრულებელი მშენებლობების და ამ მშენებლობებით დაზარალებული ადამიანების პრობლემის მოგვარებისთვის. ამ ძალიან მნიშვნელოვანი პრობლემის მოგვარებით ჩვენ რამდენიმე ათას ჩვენს მოქალაქეს ვუბრუნებთ კუთვნილ საცხოვრისს და ამავდროულად ვუბრუნებთ იმედს, რომ საკუთარი ქალაქი, მუნიციპალიტეტი და სახელმწიფო ზრუნავს მათზე. რომ არა ილია, დამერწმუნეთ, შეუძლებელი იქნებოდა ცენტრ-პოინტის, სვეტის და ბევრი სხვა სამშენებლო კომპანიის დაზარალებული მოქალაქეების პრობლემის ასე ეფექტიანად გადაჭრა“, — განაცხადა კახა კალაძემ.

მისი თქმით, გასული ოთხი წლის განმავლობაში, ირაკლი ბენდელიანმა ძალიან ნაყოფიერად იმუშავა და საკუთარი უდიდესი წვლილი შეიტანა ყველა ინფრასტრუქტურულ პროექტში, რომლებმაც დედაქალაქის ყოველდღიური ცხოვრებიდან უამრავი ბარიერი გააქრო.

„ირაკლის და მისი გუნდის დიდი დამსახურებაა, რომ ყოველდღიურად ახლდება და სწრაფი ნაბიჯებით უახლოვდება თანამედროვე სტანდარტებს თბილისის ინფრასტრუქტურა, მადლობა ირაკლის თავდაუზოგავი შრომისთვის და წინასწარ შეგვიძლია შევპირდეთ მას, რომ მომავალი წლების განმავლობაში კიდევ უფრო მეტად იქნება დატვირთული. ანდრია ბასილაიამ ჯერ ურბანული სამსახურის ხელმძღვანელის, შემდეგ კი მერის მოადგილის პოზიციაზე მუშაობისას, ყველას გვიჩვენა საკუთარი საქმისადმი კეთილსინდისიერი დამოკიდებულების მაგალითი და განსაკუთრებული როლი შეასრულა მერიის — სოციალური, განათლების და კულტურის პოლიტიკის სწორად წარმართვაში. მან ნამდვილად დაიმსახურა ჩვენი გუნდის, პირადად ჩემი და იმ ადამიანების ნდობა ვის საქმესაც ის ყოველდღიურად აკეთებს. ამიტომ, ის, რა თქმა უნდა, განაგრძობს მუშაობას ჩემს მოადგილედ და ერთად კიდევ ბევრ კარგ საქმეს გავაკეთებთ“, — განაცხადა კახა კალაძემ.

კალაძის თქმით, თბილისის განვითარებისთვის სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს, რამდენად ეფექტიანად მუშაობენ მუნიციპალური სამსახურები.

„მინდა, წარმოგიდგინოთ იმ სამსახურების ხელმძღვანელების კანდიდატურები, რომლებიც მომავალი ოთხი წლის განმავლობაში წარმართავენ ქალაქის პოლიტიკას სხვადასხვა მიმართულებებით: პირველ რიგში წარმოგიდგენთ მერიის ადმინისტრაციის ხელმძღვანელს ბატონ **ვალერი ჭილლაძეს**. ვალერი არის ძალიან კარგი მენეჯერი. უკანასკნელი წლების განმავლობაში ჩვენ ერთად ბევრი რამ გავიარეთ და ვალერი ყოველთვის წარმატებით ართმევდა თავს საკუთარ უფლებამოვალეობებს. ინფრასტრუქტურის საქალაქო სამსახურს უხელმძღვანელებს ბატონი — **გიორგი აბუთიძე**; ეკონომიკური განვითარების საქალაქო სამსახური ჩაბარდება — **ვახტანგ ლომჯარიას**; გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური — **გიგა გიგაშვილს**; კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურს — **ირაკლი გვილავა** უხელმძღვანელებს; იურიდიული საქალაქო სამსახურის ხელმძღვანელად წარმოგიდგენთ — **სერგო ბირკაძეს**; ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახურს გაუძღვება — **გელა ჩივიაშვილი**; მუნიციპალური შესყიდვების საქალაქო სამსახურის უფროსად გთავაზობთ — **გიორგი პაპავას** კანდიდატურას; საფინანსო საქალაქო სამსახურს კვლავ — **გაიოზ თალაკვაძე** უხელმძღვანელებს; უსაფრთხოების საქალაქო სამსახურის ხელმძღვანელად წარვადგენთ — **ნიკოლოზ ჭონძაძეს**; მუნიციპალური ინსპექციის საქალაქო სამსახურს უხელმძღვანელებს — **კახა გულედანი**; ყველა ამ კანდიდატურას, დასამტკიცებლად წარვუდგენთ თბილისის საკრებულოს და მე მჯერა ჩვენი გუნდი, საკრებულოს უმრავლესობა, ერთხმად დაუჭერს მხარს მათ დანიშვნას ამ საპასუხისმგებლო თანამდებობებზე, ვინაიდან ეს ადამიანები ნამდვილად იმსახურებენ ჩვენს ნდობას.

აქვე, მინდა საზოგადოებას მივაწოდო ინფორმაცია ისეთი მნიშვნელოვანი მიმართულებების ხელმძღვანელების შესახებ, როგორიც არის ურბანული და სატრანსპორტო პოლიტიკა, არქიტექტურა, და თბილისის განვითარების ფონდი. ამ მიმართულებების ხელმძღვანელებს თბილისის საკრებულო არ ამტკიცებს, თუმცა ისინი უმნიშვნელოვანეს როლს ასრულებენ თბილისის განვითარებაში. თბილისის ურბანულ და სატრანსპორტო პოლიტიკას კვლავ **ვიქტორ წილოსანი** წარმართავს, რომელმაც უკანასკნელ წლებში ნამდვილად დაამტკიცა, რომ შეუძლია ამ მეტად საპასუხისმგებლო და მნიშვნელოვანი მიმართულების წარმატებით მართვა; თბილისის განვითარების ფონდის ხელმძღვანელად წარმოგიდგენთ ბატონ — **ლევან ჯღარკავას**; ქონების მართვის სააგენტოს ხელმძღვანელი კვლავ **ირაკლი თავართქილაძე** იქნება; არქიტექტურის სამსახურის ხელმძღვანელი იქნება **თეიმურაზ ბოლოთაშვილი**, რომელმაც უკანასკნელ წლებში ძალიან ბევრი გააკეთა ამ მიმართულების დასახვეწად და თანამედროვე სტანდარტებში მოსაქცევად“, — განაცხადა კახა კალაძემ.

# სველი ასანთით ცეცხლის გაჩენა,

## ანუ ფოიერვერკი, რომელიც ვერ ფეიდა

**ძალიან მოკლედ და ყოველგვარი პოლიტიკურად ფილოსოფიური წიაღსვლების გარეშე:**

**ჩატარდა სასამართლო პროცესი და ნუ ჩავეძიებით ნურც პროცესის მიმდინარეობას, გარეთ მხარდამჭერთა კივილ-წივილს და ნურც ბრალდებულის სიტყვას, რომელიც, რბილად რომ ვთქვა, ნამდვილად არ იყო ისეთი, რაც ასეთ რეზონანსულ საქმეს ეკადრებოდა (რეზონანსულს ჩვენთვის, საქართველოს მოქალაქეებისთვის, თორემ დასავლეთისთვის მხოლოდ უბრალო ნიუსია).**

**მოდით უბრალოდ თანმიმდევრულად განვიხილოთ ბოლო ორი წლის განმავლობაში მიმდინარე პროცესები და ვნახოთ, იყო თუ არა დღევანდელი პოლიტიკური შედეგი არსებული ვითარების ლოგიკური დასასრული.**

**ნაციონალურმა მოძრაობამ მიზნის მისაღწევად საკმაოდ აგრესიული და, ერთს შეხედვით, არათანმიმდევრული გზა აირჩია. არათანმიმდევრული იმ აქცენტების მიხედვით, რომლებსაც ისინი სვამდნენ და მათი მედიასაშუალებების მართლაც ენაჩაუხრელი მუშაობით საზოგადოებაზე გარკვეულ ფსიქოლოგიურ ზეწოლას ახდენდნენ.**

**საზოგადოებამ ძალიან მტკივნეულად აღიქვა ზეწოლის ასეთი ფორმა და ნაცმოძრაობამ მხარდაჭერის ნაცვლად უკუშედეგი მიიღო.**

მათ ვერ შეძლეს დროულად შეეცვალათ ტაქტიკა და იმის ნაცვლად, რომ შეერბილებინათ აგრესია, პირიქით გააძლიერეს (ამის დასანახად საპრეზიდენტო არჩევნებიც უნდა ყოფილიყო საკმარისი, მაგრამ მათმა მწირმა გონებამ და ქართველი საზოგადოების მენტალობის სრულმა არცოდნამ, ასევე აგრესიული ლიბერალებისთვის დამახასიათებელმა სიჯიუტემ ამის საშუალება არ მისცა).

არც 2020-ის და არც 2021-ის არჩევნებში დაპირისპირების და ოპონენტის განადგურების გარდა, მათ ამომრჩევლისთვის არაფერი შეუთავაზებიათ.

პანდემიისა და მისგან გამოწვეული რთული ეკონომიკური ვითარების გამო, საზოგადოებამ აირჩია სიმშვიდე და განვითარების პერსპექტივა.

ნაცმოძრაობას თავისი ფეიერვერკული პოლიტიკის ერთადერთ კოზირად დასავლელი ლობისტების მშრალად შეშფოთებული განცხადებები, ხოლო ჯოკრად სააკაშვილის საქართველოში ჩამოსვლაღა დარჩა.

ლობისტების შეშფოთება ქართულმა საზოგადოებამ, ასე ვთქვათ, ფეხებზე დაიკიდა, რაც ხელისუფლების მხრიდან გახმოვანდა და მის კიდევ ერთ გამარჯვებად გაფორმდა.

რაც შეეხება სააკაშვილის ჩამოსვლას — ამ ავანტიურამ ის ეფექტი ვერ იქონია, რასაც ნაცები ელოდნენ. ის ფეიერვერკი, რომელიც ზეიმის დამაგვირგვინებელი უნდა გამხდარიყო, ჰილზადან ამოსვლისთანავე ჩაქრა და ხელი გამშვებს დასწვა.

პატიმარ სააკაშვილის ყოველი პოხონდრიის შესრულება, ერთი მხრივ, ხელისუფლების სისუსტედ უნდა აღქმულიყო, რასაც ნაცმოძრაობისთვის დადებითი შედეგი და საზოგადოების გარკვეული მხარდაჭერა უნდა მოეტანა, ხელისუფლების ამ „სისუსტემ“ მოსახლეობის გაღიზიანება და შეიძლება ითქვას გაბრაზებაც გამოიწვია. ხოლო ხელისუფლების თანმიმდევრულმა ქმედებამ (ჯერ გლდანში, ხოლო შემდეგ გორში გადაყვანა) სრულად დაუკარგა პროტესტის ხარისხი, დააკნინა და სრულიად განაიარაღა (მოკლედ რომ ვთქვა, ხელისუფლებამ იმოქმედა პრინციპით — გიჟი მიუშვი ნებასა, თვით შეეყრება სნებასა და ამ ტაქტიკამ სრულად გაამართლა).

სააკაშვილის სასამართლო პროცესი კი ამ ჯაჭვის ლოგიკური დასასრული გამოდგა.

იმის მოლოდინი, რომ საზოგადოება იხილავდა მჭექარე ორატორს, სააკაშვილის პირველივე წინადადების შემდეგ გაქრა და დაუდგრომელი მებრძოლის ნაცვლად დამარცხებული და დაბეჩავებული ადამიანი დარჩა.

სხვადასხვა წყაროებში წამიკითხავს ბევრი ადამიანის მიერ სასამართლოზე გაკეთებული განცხადება თუ სიტყვა, რომლებიც ისტორიაში შევიდა და რომლებსაც გარკვეული მნიშვნელობა აქვს არამც თუ იმ ადამიანის დახასიათებისთვის, არამედ ბევრ რამეზე დაფიქრების საშუალებასაც იძლევა.

ვუსმინე მიხეილ სააკაშვილის გამოსვლას. გამოსვლას, რომელიც არამც თუ საქართველოს ყოფილ პრეზიდენტს შეეფერება, არამედ წვრილმანი ბაცაცისთვისაც დამამცირებელია.

ცდილობა იმისა, რომ საკუთარი თავი წარმოედგინა როგორც აღმშენებელი, გმირი, ჭკვიანი და დაუღალავი მებრძოლი, კრახით დამთავრდა.

დამთავრდა არა იმიტომ, რომ სიტყვათა მარაგი ჰქონდა მწირი, ან რაიმე სხვა პირობები უშლიდა ხელს, არამედ იმიტომ, რომ ცრუობდა.

სრული სიყალბე ისმოდა სრულიად ყველა ფრაზაში.

**ისეთი სიყალბე, რომლისაც თავადაც არ სჯერა.**

**— თქვენ იცით, მე ვარ ევროპის ყველაზე დიდ ქვეყანაში, იმ საბჭოს აღმასრულებელი თავმჯდომარე, რომელიც ყოველთვიურად იკრიბება. საბჭოში შედიან უკრაინის პრეზიდენტი, პრემიერ-მინისტრი, პარლამენტის სპიკერი, ყველა მინისტრი, გენერალური პროკურორი...**

**— უკრაინაში მეკავა ძალიან მნიშვნელოვანი პოზიცია, უფრო მეტიც, „იფსოსის“ გამოკითხვით — ვის ნახვას ისურვებდით უკრაინის პრემიერ-მინისტრად — პირველ ადგილზე ვარ. მეტიც, მინიმუმ ორჯერ მაქვს უკრაინის პრემიერ-მინისტრობაზე უარი ნათქვამი პრეზიდენტ პოროშენკოს დროს.**

**— რაც შეეხება მატერიალურ მხარეს, არასდროს ვყოფილვარ ასე კარგად, როგორც ვიყავი უკრაინაში. სახლიც მქონდა, კარიც მაქვს, მაღალი ხელფასიც, პატივისცემაც.**

**— გადაწყვეტილების მისაღებად, რა უნდა მექნა დამჭირდა 2-3 წუთი.**

**— 1921 წელს, როდესაც ბოლშევიკური არმია თბილისში შემოვიდა, საქართველოს მთავრობა ჯერ წავიდა ბათუმში, შემდეგ სტამბულში და ბოლოს საფრანგეთში. მე ვიცი, რომ 10-20-30 წლის შემდეგაც უკვე ბებრები ისხდნენ და ლევილის მამულში არჩევდნენ ამ ძველ ამბებს იმ საქართველოზე, რომელსაც ვერ ნახავდნენ თავის ცხოვრებაში. მე ვიფიქრე, რომ არასდროს ჩემს თავს ამ სიტუაციაში არ ჩავიყენებდი.**

**— თბილისის დატოვება ჩემ მიერ ნიშნავდა თბილისში რუსული ჯარების შემოსვლას და თბილისში რუსეთის დროშის აფრიალებას, ეს იყო ამ ულტიმატუმის შინაარსი.**

უკრაინულად მიმართვა.

გირგვლიანის საქმეზე ცინიზმი.

და უამრავი სხვა ყალბი და არაფრისმთქმელი ფრაზა.

ცხადია გამოჩნდებიან ადამიანები, რომლებიც მის ამ გამოსვლას შეაფასებენ როგორც „რეზონულსა და მონუმენტურს“. იტყვიან, რომ ეს იყო ისტორიული სიტყვა. შეეცდებიან, შეადარონ დიდ ადამიანებს, მაგრამ ადვილად ჩანს, რომ ეს შეფასებებიც ყალბია.

ამის შემდეგ როგორი რისხვაც არ უნდა დაანონსდეს ნაცმოძრაობის მხრიდან, ზუსტად იგივე ეფექტი ექნება, როგორც სველი ასანთით ცეცხლის გაჩენას.

ეს ხელისუფლებამ ძალიან კარგად იცის და მშვიდად მიჰყვება დასახულ გეგმას, რომელიც პოლიტიკური ჭიდილიდან ეკონომიკურ საქმიანობაში გადადის. ეგაა და გორის ციხე!...

**გია გაბრიჭიძე**

# მუნასიბები დიდ+გორზე

## ამაო მოლოდინი

**ისევ არის** პირველკაცის სკამის მნდომი,
ენატრება „არხილოთა“ მოროდი.
„მე კვლავ მოვალ!“– ყვარყვარეზე დაბლა მდგომი,
თვით გორშიაც ვეღარ მალავს მოლოდინს!
**წუხს,** რომ დიდხანს დაახანა,
და ქვეყანა სულ მთლად ვერ აამტუტა,
შველას შესთხოვს მისთვის ცნობილ ჰარამხანას
და გვარამას, ანუ ტიტე ნატუტარს!

## ყასიდად ნაშიმშილარი!

**დრო** იყო ძალზე ავი და,
ლამის კვარცხლბეკზეც ავიდა:
თავს აცხადებდა **და-ვი-თად**!
**მაგრამ** უმტყუნა იმ გორმა,
სადაც მტრის ცხვირწინ იგორა
და ვერ მონათლა დიდგორად!
**იმ დღეს** ტალახში აზილა,
რაც ადრე გაიხაზირა
და ჩამოაჭრა ხაზინას
**დღეს** კვლავ გორშია, „შინ არი“

და თუ იკითხავთ, ვინ არი,
პირდაპირ გეტყვით, ეს არი
ყასიდად ნაშიმშილარი!

## ამას ამბობს გორის ციხე

**გავუძელით** ათას ხვადაგს,
რადგან მუდამ ვუერთგულეთ
სამშობლოს და მამა ღმერთს,
ბევრჯერ მოგვკლეს, ვით პაატა,
ასიათას მოწამისებრ
თავს და სხეულს აშორებდნენ ერთმანეთს!
**დღეს** ორგული იმდენი გვყავს,
ვერცხლისწყლისებრ დაგვიფანტეს, აუუ, ერი!
დაგვამსგავსეს შაგრენის ტყავს...
მტერს რით ვძლიოთ, შინამტერს ვერ ავუვედით!
– **ამას ამბობს** გორის ციხე,
პასუხი კი ღრუბლებს იხვევს
და ჭორები დააქვთ „იხვებს“!

## ნუთუ აჭარას?

**ღაზობა,** დღემდე გორშიც რომ შერჩა,
სიკვდილს უპირებს ქვეყანას ბედშავს,
მის დასაღუპად და დასახლეჩად,
ყმობის უსტარი გაგზავნა ელჩთან!
**ვინ რა ურჩია,** ვინ რა აჭამა,
კოდორივით რომ ჰყიდის აჭარას?

**ალექსანდრე შენგელია**

ექს-პრეზიდენტის პირადი ექიმის, ნიკოლოზ ყიფშიძის მიმართ საზოგადოებაში ნეგატიური დამოკიდებულება არა მხოლოდ მისმა განცხადებებმა გამოიწვია, რომელსაც აშკარად პოლიტიკური ელფერი დაკრავს, არამედ ყველა იმ ინფორმაციის გასაჯაროვებამ, რომელიც შლეიფივით მიყვება მის ბიოგრაფიას.

ცნობილი გახდა, 2006 წელს, როგორ გაიფლანგა ნიკოლოზ ყიფშიძის ხელმძღვანელობის დროს, ფონდ „ქართუს“ მიერ, რესპუბლიკური საავადმყოფოს რეაბილიტაციისთვის გამოყოფილი 50 მილიონი ლარი; როგორ იხარჯებოდა მის უცხოეთში ვოიაჟებზე სახელმწიფო ბიუჯეტიდან თანხები, მაგრამ, როგორც აღმოჩნდა, ნიკოლოზ ყიფშიძის ბიოგრაფიას გაცილებით დიდი ცოდვა ამძიმებს.

ექიმი, რომელიც ავტორიტეტადაა მიჩნეული „ნაცმოძრაობისთვის“, სინამდვილეში „ჩვეულებრივი ლოთია, რომლის უპასუხისმგებლობამ პაციენტის სიცოცხლე იმსხვერპლა. სწორედ ეს გახდა ყიფშიძის რესპუბლიკური საავადმყოფოდან წასვლის ერთერთი მიზეზი, რადგან აქ არ დაედგომებოდა“, – ამბობს ჩვენი წყარო.

დღეს რომ ნიკოლოზ ყიფშიძე საქართველოშია და ლიცენზია არ აქვს შეჩერებული, უფრო მეტიც, ციხეს გადაურჩა, სააკაშვილს უნდა უმადლოდეს. როგორც ჩვენი წყაროები აღასტურებენ, ქვეყნიდან გაქცეული ექიმი სააკაშვილმა დააბრუნა უკან.

სამედიცინო წრეებში ეს ისტორია ბევრმა ექიმმა იცის, მაგრამ ამაზე ხმამაღლა საუბარს ყველა ერიდება, ვინაიდან გარდაცვლილის ოჯახი დუმს. თუ რატომ დუმს ოჯახი, მკითხველმა გადაწყვიტოს.

ანალიტიკოსი, სოსო მანჯავიძე კიდევ ერთი წყაროა, რომელიც ღიად გვიდასტურებს, რომ ყიფშიძის წარსულის შესახებ მანაც და კიდევ ბევრმა ადამიანმა იცის და მოუწოდებს როგორც გარდაცვლილი პაციენტის ოჯახის წევრებს, ასევე ექიმებს, ილაპარაკონ ამ ფაქტის შესახებ.

# „ყიფშიძეს პაციენტი შემოაკვდა, „ქართუს“ 50 მილიონი გაფლანგა, მთელი თბილისი ლაპარაკობს, მაგრამ ხმამაღლა - არავინ!

**სააკაშვილის პირადი ექიმი ამბობს, რომ სააკაშვილის მკურნალობისთვის აუცილებელია დღეში 2-3 პარლამენტარი მიიღოს. მეტიც, მისი რეკომენდაციაა, რომ ბრალდებულისთვის აუცილებელია თავისუფლებაზე მკურნალობა, ასევე ფსიქოლოგებისა და ფსიქიატრების დახმარება. ექიმი და პაციენტი ვერ აცნობიერებენ, რომ საქმე ეხება ბრალდებულს?**

**სოსო მანჯავიძე:** ნაწილი ვერ აცნობიერებს რაშია საქმე, ნაწილი არ აცნობიერებს. რა შეიძლება ითქვას ნიკოლოზ ყიფშიძის შესახებ – ისეთ განცხადებებს აკეთებს, რომელიც ლოთობის უკანასკნელ სტადიაში მყოფ ადამიანებს ახასიათებთ. აბსოლუტურად არაადეკვატურ განცხადებებს აკეთებს – თურმე პატიმარი სააკაშვილის რეაბილიტაციისთვის აუცილებელია მისი გარეთ გამოსვლა. შეიძლება ამ განცხადების სერიოზული კომენტარი? –- ცხადია არა.

იგივეს აკეთებს დედამისი და მთელი „ნაციონალური მოძრაობის“ ეს საოცარი კასტა, რომელიც აცდნელია რეალობას. ბოდვით რეალობაში ცხოვრობენ. უბედურება ის არის, რომ ისინი ძალიან ბევრნი არიან და როდესაც ასეთი ტიპის ადამიანები ერთად იყრიან თავს და სააკაშვილის სახით ცოცხალი ღვთაება ჰყავთ, საზოგადოება დგება სერიოზული პრობლემის წინაშე.

**– ძალიან ბევრში რამდენს გულისხმობთ და საერთოდ, რამდენად შეძლებს ეს რაოდენობა ქვეყანაში პოლიტიკური კლიმატის შეცვლას?**

– არჩევნების შედეგებს თუ გადავხედავთ, 44.393% ხმა მიიღო „ნაციონალურმა მოძრაობამ“ არჩევნებზე. როდესაც ამ რაოდენობის ადამიანი მიდის არჩევნებზე, აქ სულ სხვა რაღაცაზეა ლაპარაკი. მნიშვნელობა არ აქვს რა პოზიცია გაქვს „ოცნების“ მიმართ. ჩვენ ვხედავთ სრულად ნორმალურობის ზღვარს მიღმა მდგომ ადამიანებს „ნაციონალური მოძრაობის“ ისტებლიშმენტის და ლიდერშიპის სახით. როდესაც ასეთ ადამიანებს ამდენი ადამიანი ხმას აძლევს, მხოლოდ იმის გამო, რომ არ მოსწონთ „ქართული ოცნება“, ეს უკვე პრობლემაა.

ეს არ არის პოლიტიკური პრობლემა, ეროვნული პრობლემაა, როდესაც ადამიანების ეს რიცხვი რეალობას აღიქვამს ასეთ გამრუდებულ სარკეებში. როდესაც ასეთი ტიპის ადამიანებს ეძლევათ მედია და როდესაც ისინი პოლიტიკაში არიან, პირიქით, ისინი კიდევ უფრო ამრავლებენ არაადეკვატური ადამიანების რიცხვს, ანუ, კიდევ უფრო დიდ ზიანს აყენებენ ქვეყანას, საზოგადოებას. როდესაც ერთი უარყოფითად განწყობილი, შიზოფრენიული იდეებით და ეგოცენტრიზმით განმსჭვალული ამომრჩეველი ხვდება საზოგადოებაში, იქ ყველაფერი ირევა.

**– გამოდის, რომ ჩვენ ვართ ფსიქიატრიული პრობლემის წინაშე?**

– დიახ. ადრე ამას დავარქვი რეზონანსული შიზოფრენია. ჩვენ ვართ რეზონანსული შიზოფრენიის სტადიაში, როდესაც ეს შიზოფრენიკები გვიცხადებენ, რომ სააკაშვილი არის დავით აღმაშენებელი! დედამისმა დემეტრე თავდადებულს როგორ შეადარეთ, არ გრცხვენიათ, სად დემეტრე თავდადებული და სად ჩემი შვილიო! ზოგი მას ფარნავაზს ადარებს, ზოგი – ილია ჭავჭავაძეს. გმირს უწოდებენ. 2008 წლის აგვისტოს ომის გმირი ყოფილა, გესმით, რას ლაპარაკობენ?! ყველა მისი მოქმედება, რომელსაც ჩვენი თვალით ვუყურებდით, გამოაცხადეს გმირობად! დიახ, ყველა მათი შეფასება ადასტურებს, რომ დიდი ფსიქოზის წინაშე ვართ.

**– რაც შეეხება სააკაშვილის პირადი ექიმის, ნიკოლოზ ყიფშიძის განცხადებას, ყიფშიძე მიზანმიმართულად ავრცელებდა დეზინფორმაციას სააკაშვილის მდგომარეობის შესახებ. როგორ ფიქრობთ, რა ვალდებულებები აქვს ნიკოლოზ ყიფშიძეს სააკაშვილის მიმართ?**

– ნიკოლოზ ყიფშიძეს ხანგრძლივი ურთიერთობები აქვს მიხეილ სააკაშვილთან და მის ოჯახთან. მოგეხსენებათ, პატივცემული ნიკოლოზ ყიფშიძე გახლავთ რესპუბლიკური საავადმყოფოს დაშლის და იქ ბნელი კომერციული მიზნების განხორციელების ავტორი. „ქართუს“ მიერ გამოყოფილი 50 მილიონი ლარი, რომელიც რესპუბლიკური საავადმყოფოს რეაბილიტაციისთვის იყო გამოყოფილი, გაფლანგა. საავადმყოფო გარემონტდა ფასადურად, 1000 საწოლი შემცირდა 90 საწოლამდე, კათედრები გაუქმდა და ექიმებმა საავადმყოფო დატოვეს. გარდა ამისა, ყიფშიძის ევროპაში მოგზაურობა და მკურნალობა ფინანსდებოდა სახელმწიფო ბიუჯეტიდან და ეს დასკვნები დევს პროკურატურაში.

შესაბამისად, ნიკოლოზ ყიფშიძე ერთი მხრივ რომ არის სუბიექტური და მეორე მხრივ არაადეკვატური, ეს უკვე ყველასთვის ნათელია. ჯერ ხომ მიშისტმა მიტროპოლიტებმა გამაოგნეს და აი, მიშისტმა ექიმებმა წერტილი დაუსვეს ყველაფერს. ზოგიერთმა ე.წ. საზოგადო და ხელოვნების მოღვაწემ გაოგნება კი არა, სასოწარკვეთაც კი გამოიწვია ჩემში. იმდენად დიდი იყო ეს მასობრივი ისტერია, რომ სააკაშვილი თურმე 47 დღე შიმშილობს, მაგრამ ვერაფრით ვერ გაერკვნენ შიმშილობს – არ შიმშილობს, მარხულობს-არ მარხულობს და საერთოდ, რა უნდა? თუ შიმშილობდა, რისთვის შიმშილობდა?

ან, როგორ შეიძლება ადამიანი შიმშილობდეს და სხვა იყოს ამაზე პასუხისმგებელი? ან როგორ შეიძლება ადამიანმა შიმშილით მოიკლას თავი და ამაში სხვა იყოს დამნაშავე, როდესაც ის მოთხოვნასაც არ აყენებს და იძახის, რომ შეასრულეთ ჩემი კაპრიზებიო? აი, ეს კითხვები ჩვენმა საზოგადოებამ ვერ გადაჭრა და უამრავ კრეტინულ-სენტიმენტალურ ტალღაში აღმოვჩნდით, სადაც ყველაფერი გადღაბნილი და ათქვეფილია, სადაც არც ერთ კითხვას, ლოგიკური პასუხი არ ეცემა და სადაც, დასკვნის გამოტანა ითვლება ცოდვად - აი, ასეთი ტიპის სისულელეში აღმოვჩნდით.

**– ექიმებმა პირად საუბარში გვითხრეს, რომ ყიფშიძეს აქვს პათოლოგიური სიმთვრალე. გარემოცვა, რომელიც მის მიმართ კეთილად იყო განწყობილი, ყველაფერს აკეთებდა, რომ ყიფშიძეს ოპერაცია არ გაეკეთებინა, მაგრამ რამდენჯერმე მთვრალი შევიდა ოპერაციაზე და ის ოპერაცია მსხვერპლით დასრულდა. ამის გამო, მას ქვეყანაც დაუტოვებია. თუმცა, თემურ ალასანიასთან მეგობრობამ გადაარჩინა. სააკაშვილმა ის ქვეყანაში დააბრუნა. ყიფშიძის წარსულის შესახებ თქვენ თუ გაქვთ ინფორმაცია?**

– პაციენტი რომ შემოაკვდა, ამის შესახებ ყველამ იცის, მთელი თბილისი ამაზე ლაპარაკობს, მაგრამ ხმამაღლა – არავინ!!! აი, ეს არის ჩემთვის გასაოცარი, ისევე, როგორც სხვა დანარჩენი მოვლენები. საერთოდ, ამ საკითხით შესაბამისი ორგანოები უნდა ინტერესდებოდნენ. როგორც კი პატივცემული ყიფშიძე გამოჩნდა ასპარეზზე, მისი წარსულის შესახებ მოდიოდა ინფორმაცია, რამდენიმე ადამიანმა მითხრა არა მხოლოდ რესპუბლიკური საავადმყოფოს შესახებ, არამედ მისი, როგორც ცუდი ექიმის რეპუტაციის შესახებ. ვგულისხმობ შემთხვევას, როდესაც მისი პაციენტთან ურთიერთობა მძიმე შედეგით დასრულდა. გასაგებია, უამრავი ჭორ-მართალი ვრცელდება, მაგრამ წესით, იმ პაციენტებს პატრონიც უნდა ჰყავდეთ და ასევე, ექიმებიც ჩემზე მეტ ინფორმაციას უნდა ფლობდნენ და ამბობდნენ ამის შესახებ სიმართლეს!

საზოგადოებამ იცის ამის შესახებ. უბრალოდ, მიკვირს, ეს ადამიანი, რომელსაც ასეთი ცოდვები აქვს, ასე ღიად გამოდის საზოგადოებრივ ასპარეზზე და არ ფიქრობს იმაზე, რომ ამ ქვეყანაში ჯერ კიდევ არსებობს ხალხი, რომელსაც ყველაფერი ახსოვს. გასაოცარია, როდესაც ყიფშიძის წარსულის მქონე ადამიანი ასეთ განცხადებებს აკეთებს, როდესაც ასე ღიად გამოდის სააკაშვილის დასაცავად. გასაგებია, მივეჩვიეთ იმას, რომ საქართველოში არავინ არაფერზე პასუხს არ აგებს, მაგრამ ყველაფერს ხომ ზღვარი აქვს!

**– აქედან მივდივართ იმ დასკვნამდე, რომ ყიფშიძეს გარკვეული ვალდებულებები აქვს სააკაშვილთან და ფიქრობთ, რომ პროკურატურამ უნდა შეისწავლოს, მისი როგორც ექიმის წარსული საქმიანობა?**

– დაუშვებელია ის, რასაც ეს კაცი აკეთებს. გამოძიება უნდა დაინტერესდეს ამ ადამიანის წარსულით, ისევე როგორც სხვა საქმეებით. ბევრი ისეთი რამე გააკეთეს სააკაშვილის მმართველობის დროს, შეკერეს საქმეები, დახურეს, მიჩქმალეს და მორჩა. გაანადგურეს მტკიცებულებები და ჩვენ რა ვქნათ? რადგან მტკიცებულებები გაანადგურეს, ფაქტები არ რჩება? ამიტომ, გამოძიება უნდა დაიწყოს, ასე არ შეიძლება. გიგი უგულავას აღიარებული აქვს 50 მილიონის მოპარვა და ეს ადამიანი პოლიტიკაშია, ეს ხომ გასაოცარია. იგივე ფენომენია ეს პატივცემული ყიფშიძე და დანარჩენებიც.

ახლა რომ გამოაგდეს მეგის ქარდავას და ალექსანდრე მუხაძის ვიდეო, ეს ერთადერთი ვიდეო აქვთ? – არა, უამრავი ვიდეო აქვთ! გამოაქვეყნონ, აჩვენონ ადამიანებს და დამთავრდება ეს პრობლემა! მეგი გოცირიძეს და მისნაირებს, რაც არ უნდა აჩვენო, იტყვიან ღირსები იყვნენო, მაგრამ საზოგადოების იმ ნაწილმა, ანუ შუაშისტებმა უნდა ნახონ ის ჩანაწერები, რომლებსაც ერთმანეთისგან ვერ განუსხვავებიათ შიმშილი და ჭამა! მათ უნდა აჩვენონ, ვისაც ჰგონია, რომ ელექტროენერგიის მოწოდება რომ გაუმჯობესდა, ეს არის საპირწონე საქართველოს მიწა-წყლის 20 პროცენტის დაკარგვის და სახელმწიფო ტერორის!..

**მართლაცდა, ვაი ჩვენს პატრონს!!!**

ესაუბრა
**თამთა ქარჩავა**

რომის პაპი მოუწოდებს ჯვაროსნებს

# დეუს ლე ვოლტ

**მონაწილეობდნენ** თუ არა ქართველები პირველ ჯვაროსნულ ლაშქრობაში? მოაღწია თუ არა ჩვენს სამშობლომდე იმ უჩვეულო აღტკინებამ, XI საუკუნის დამლევს ლამის მთელი ევროპა რომ მოიცვა? როგორ გამოეხმაურა საქართველო იმ გრანდიოზულ მოძრაობას, რომელიც მსოფლიო ისტორიის ერთერთ თვალსაჩინო ნიშანსვეტად აღმართულა?

**გამოჩენილი ქართველი მეცნიერი კორნელი კეკელიძე, „ქართლის ცხოვრების“ ერთ ცნობაზე დაყრდნობით, ვარაუდობდა ქართველი მხედრების მონაწილეობას პირველ ჯვაროსნულ ლაშქრობაში. მეცნიერის ვარაუდი, იმდროინდელი ვითარებისა და სულისკვეთების ლოგიკაც მხარს რომ უჭერს, მწერლის შემოქმედებითმა ფანტაზიამ მხატვრული სინამდვილის ეპიზოდად აქცია.**

**კონსტანტინე გამსახურდიას „დავით აღმაშენებელში“ ვკითხულობთ, რომ იერუსალიმს მოსალოცავად გამგზავრებული საქართველოს დედოფლის მცველთა რაზმი ქალაქ ანტიოქიის მახლობლად სელჩუკებს გადაეყრება და ჯონდი ერისთავი ხელშუბით განგმირავს ანტიოქიის ამირას, ჯვაროსანთა მიერ დამარცხებული თავისი სამფლობელოდან რომ გარბოდა.**

მწერალი განაგრძობს:“როცა ჯონდი ერისთავმა ანტიოქიის ციხეში მიართვა ბოჰემუნდს იაგი სიანის თავი, ნორმანელმა რაინდმა გადაკოცნა ქრისტიანი „ბერძენი“, ნორმანული ხმალი უბოძა მას თავისი, რომელზედაც ეხატა მგლის თათი. მერმე გაუღიმა უცნობ რაინდს და ეს უთხრა: „დეუს ლე ვოლტ“.

„დეუს ლე ვოლტ“ (ქართულად: „უფალს აგრე სწადია“) — ჯვაროსანთა საბრძოლო დევიზი იყო.

აი როგორ დაიბადა ეს გულში ჩამწვდომი სიტყვები...

1095 წლის ნოემბერში საფრანგეთის ქალაქ კლერმონში **რომის პაპმა** საეკლესიო კრება მოიწვია და მგზნებარე ქადაგება წარმოთქვა. მთელ თავის სამწყოსს მოუწოდებდა, რომ იარაღი აესხათ და სასწრაფოდ დაძრულიყვნენ აღმოსავლეთის ქრისტიანთა შესაწევნად — ურჯულონი ატყვევებენ და ჟლეტენ ჩვენს მოძმეთ, ეკლესიებს ანგრევენ და მაცხოვრის საფლავს ბილწავენო.

მერე იმოწმებდა გოდებას 79-ე ფსალმუნიდან:

**„ღმერთო, შევიდეს წარმართნი სამკვიდრებელსა შენსა და შეაგინეს ტაძარი წმიდა შენი... დაასხეს მძორები მონათა შენთა საჭმელად მფრინველთა ცისათა და ხორცნი წმიდათა შენთანი - მხეცთა ქვეყანისათა. დასთხიეს სისხლი მათი ვითარცა წყალი გარემოს იერუსალიმსა და არავინ იყო მფარველ მათდა. ვიქმნენით ჩვენ საყვედრებელ მოძმეთა ჩვენთა, საცინელ და საკიცხელ გარემოსთა ჩვენთა. ვიდრემდის, უფალო, განრისხნე სრულიად და აღატყდეს, ვითარცა ცეცხლი, შური შენი?“**

რომის პაპი, უფლის სახელით, მიმართავდა ყველას, მდიდარსა თუ ღატაკს, ყოველი ღონე გაეღოთ „წმიდა მიწის“ განთავისუფლებისათვის.

**რომის პაპი ამბობდა: აქაური მიწა-წყალი ძლივს გასაზრდოებთ, ამიტომაც ერთმანეთს კბენთ და ჭამთ, ერთმანეთს ებრძვით და სასიკვდილო ჭრილობებს აყენებთ. ვინც აქ უპოვარი და მწუხარეა, იქ შეძლებული და მხიარული გახდება, რადგანაც იერუსალიმის უნაყოფიერესი მხარე ამქვეყნიური სამოთხეა, სადაც თაფლისა და რძის მდინარეები მოედინებიანო.**

იერუსალიმის აღება ჯვაროსნების მიერ

მოუწოდებდა ხალხს: დაე, შეწყდეს სიძულვილი თქვენს შორის, დადუმდეს მტრობა, მოისპოს შუღლი, დაადექით გზას მაცხოვრის საფლავის გამოსახსნელად, წარმართებს მიწა წაართვით და თავად დაისაკუთრეთო.

პასუხად გაისმა ერთსულოვანი შეძახილი: **„დეუს ლე ვოლტ“.**

რომის პაპმა თვალნი ზეცას აღაპყრო, უფალს მადლი შესწირა, ხელის აწევით სიჩუმე ითხოვა და აღფრთოვანებით წარმოთქვა:

**„უძვირფასესო ძმანო... თქვენს ნაფიქრალში უფალი რომ არ ჩარეულიყო, ესოდენ ერთსულოვანი შეძახილი არ აღმოგხდებოდათ. და თუმცა მრავალ ბაგეთაგან გაისმა ეს შეძახილი, წყარო მისი ერთადერთია. აი, რატომ გეტყვით თქვენ, რომ უფალმა შთაგაგონათ ეს შეძახილი. დაე, ეს სიტყვები იყოს თქვენი საბრძოლო დევიზი, ვინაიდან ეკუთვნის უფალს. და როდესაც მტერს შეერკინებით, დაე, ყველამ ერთხმად დასჭექოს სიტყვა უფლისა: დეუს ლე ვოლტ... ძალგულოვანო მხედარნო და უძლეველ წინაპართა შთამომავალნო! ნუ დაივიწყებთ მათ სასახელო ღვაწლს, გაიხსენეთ მამა-პაპათა საქმენი საგმირონია. და თუკი გაკავებთ სათნო ერთგულება შვილებისა, მშობლებისა, ცოლებისა, კარგად ჩაუფიქრდით იმას, რასაც ბრძანებს მაცხოვარი: და რომელმან არა აღიღოს ჯვარი თვისი და შემომიდგეს მე, იგი არა არს ჩემდა ღირს“.**

ასე მიეცა დასაბამი ჯვაროსნულ ლაშქრობათა ეპოქას.

საყოველთაო ენთუზიაზმი მოედო მთელ ევროპას.

ბიზანტიელი ისტორიკოსის სიტყვით, ჯვაროსნები ყოველი მხრიდან დაიძრნენ იერუსალიმისკენ და სიმრავლე მათი აღემატებოდა ზღვაში ქვიშას და ცაში ვარსკვლავებს.

1099 წლის 15 ივლისს ჯვაროსნებმა აიღეს იერუსალიმი.

ჯვაროსნული ქრონიკის ავტორი აღტაცებით მოგვითხრობს, რომ იერუსალიმის ქუჩები ჩახერგილი იყო გვამებით, ხოლო სოლომონის ტაძრის მახლობლად რაინდთა ცხენებს სისხლი მუხლამდე სწვდებოდათო.

ევროპელი პოეტი წერდა: ხმალგაშიშვლებული ფრანკები დაძრწიან ქალაქში და არავის არ ინდობენ. იმათაც კი არ ინდობენ, ვინც მორჩილად ივედრება დანდობას... მათ დარტყმებქვეშ ეცემოდნენ ურჯულონი, როგორც ცვივა დამპალი რკო მუხის ხიდან, როდესაც ტოტებს ანჯღრევენ.

სასოწარკვეთილი არაბი მგოსანი კი მწარედ მოთქვამდა: „ჩვენი სისხლი შეერია ცრემლს. აღარ დარჩა თავშესაფარი, საითაც შეიძლება გაექცე ვარამს, ჩვენ რომ დაგვთრგუნა... ძენო ისლამისა, როგორ ძალგიძთ დახუჭოთ თვალი ტყვეობაში იმ ვაებისა, რომელიც ღრმა ძილში ჩაფლულსაც კი გააღვიძებდა? ნუთუ არაბთა თავკაცნი ამგვარ ბოროტებას შეურიგდებიან? ნუთუ ამგვარ შერცხვენას ქედს მოუხრიან? და თუკი ისინი დათმობენ ზეციურ ჯილდოს, ნუთუ ალაფის მოსახვეჭად ბრძოლა მაინც არ აცდუნებთ?“

* * *

**...საქართველოში არაბთა ბატონობამ ისე ჩაიარა, როგორც ჩაივლის ხოლმე ქარიშხალი, ხანძარი ან შავი ჭირის ეპიდემია. საქართველო დარჩა საქართველოდ, სული მოითქვა, ჭრილობები მოიშუშა, წელში გაიმართა და თითქმის გაერთიანდა კიდეც; ვაჟკაცურად გაუმკლავდა ერთმორწმუნე ბიზანტიის ექსპანსიას, აგებულ იქნა ალავერდი და სვეტიცხოველი, თარგმნიდნენ წიგნებს და თავადაც თხზავდნენ.**

და უეცრად, XI საუკუნის მეორე ნახევარში, აღმოსავლეთიდან დაძრული შავბნელი ნიაღვარი მოასკდა ქვეყანას. სელჩუკ დამპყრობელთა შემოსევა და გაბატონება მკვეთრად განსხვავდებოდა წინარე ვაებათაგან. მომთაბარე სელჩუკები საზოგადოებრივი და ეკონომიკური განვითარების გაცილებით დაბალ საფეხურზე იდგნენ. დედაწულიანად აყრილნი ტალღა-ტალღად მოედინებოდნენ დასავლეთისაკენ, დაპყრობილ ქვეყნებში იალაღებსა და ყიშლაღებს ეძებდნენ.

სელჩუკებმა მთლიანად დაიპყრეს ირანი, აიღეს ბაღდადი, მანასკერტთან დაამარცხეს ბიზანტიელები, დაეპატრონენ მცირე აზიას, სომხეთს და უძლიერესი დამპყრობლის წინაშე მარტოდმარტო დარჩენილ საქართველოს არნახული განსაცდელი დაატყდა თავს. სელჩუკებმა თავიანთი ჯოგების საძოვრად გადააქციეს საქართველოს ყანები და ბაღ-ვენახები. მარჩენალი მიწიდან აყრილი გლეხობა მთაში იხიზნებოდა.

სელჩუკთაგან აოხრებული და ღონემიხდილი ქვეყანა იმედით ადევნებდა თვალს დასავლეთის მოახლოებას.

თუ რაოდენ ფასდაუდებელი მნიშვნელობა ჰქონდა საქართველოსთვის პირველ ჯვაროსნულ ლაშქრობას, ამას თვალნათლივ მეტყველებს დავით აღმაშენებლის ისტორიკოსის ერთი ლაკონიური ცნობა, რომელიც არაერთგზის დაუმოწმებიათ ჩვენში.

**„ამას ჟამსა გამოვიდეს ფრანგნი, აღიღეს იერუსალიმი და ანტიოქია, და შეწევნითა ღმრთისათა მოეშენა ქვეყანა ქართლისა. განძლიერდა დავით და განამრავლნა სპანი. და არღარა მისცა სულტანსა ხარაჯა“.**

ეჭვმიუტანელი და მრავლისმთქმელი ინფორმაცია ჩატეულა ამ ტექსტში. **ივანე ჯავახიშვილი** ხაზგასმით აღნიშნავდა, რომ ჯვაროსანთა მიერ იერუსალიმის აღებამ მაჰმადიანთა უძლეველობას სახელი გაუტეხა და დავით აღმაშენებელმა საქართველოს სრული დამოუკიდებლობა სწორედ ამის შემდეგ აღადგინაო.

დიახაც საგულისხმოა ის ფაქტი, რომ დავით აღმაშენებელმა სელჩუკებს ხარკი შეუწყვიტა 1099 წელს, როდესაც ჯვაროსნებმა იერუსალიმი აიღეს, და არა, ვთქვათ 1092 წელს, როდესაც სელჩუკთა ყველაზე სახელგანთქმული ხელმწიფე მალიქ — შაჰი გარდაიცვალა და მისი უკიდეგანო საბრძანებელი ტახტის მემკვიდრეთა შორის გაჩაღებულმა შინაომმა მოიცვა.

**გამოხდა ხანი და დავით აღმაშენებელმა პირნათლად გადაუხადა ვალი შორეულ ევროპელ მოკავშირეს.**

იოანე ბატონიშვილი, შვილიშვილი ერეკლე მეორისა, თავის ნაშრომში „ის-

დავით აღმაშენებელი

ბალდუინ II

ილღაზი

ტორია ქართლისა“ მოგვითხრობს: „იყო ბალდვოინ იერუსალიმის მეფედ, რომელმანცა მრავალი ძლევა მოიღო სარაცინელთა ანუ არაბთა ზედა. და ესე ბალდვოინ მოვიდა იდუმალ ქართლსა შინა მოთხრობისამებრ სხვათა ისტორიებთა“.

ეს ამბავი მომხდარა 1119 წელს, როდესაც ჯვაროსანთა მიერ პალესტინაში დაარსებულ იერუსალიმის სამეფოს სათავეში ედგა **ბალდუინ II** (1118-1131) — მონაწილე პირველი ჯვაროსნული ლაშქრობისა, ომსა და მმართველობაში გამოცდილი.

1119 წლის ზაფხულში მაჰმადიანებთან ბრძოლაში სასტიკად დამარცხდა და დაიღუპა ანტიოქიის მთავარი როჟერი. საგანგაშო ვითარება შეექმნა ბალდუინსაც. ევროპიდან ახალი ძალები კანტიკუნტად მოდიოდა და ჯვაროსანთა გასაჭირი კატასტროფულ ხასიათს იღებდა.

ჯვაროსნებმა იმედის თვალი მიაპყრეს საქართველოს, რომელსაც ადრიდანვე თვლიდნენ ქრისტიანობის წინაბურჯად აღმოსავლეთში. მტერი საერთო ჰყავდათ და ბუნებრივ მოკავშირეებად იგულისხმებოდნენ.

ამასობაში **ნეჯმ ად-დინ ილღაზი,** მარდინისა და მაიაფარიკინის გამგებელი, ალეპოს დამპყრობი, ჯვაროსნებზე გადამწყვეტი დარტყმის მისაყენებლად ემზადება.

მაგრამ 1121 წელს, სრულიად მოულოდნელად, ჯვაროსანთა წინააღმდეგ „საღვთო ომის“ სულისჩამდგმელი და დაუცხრომელი წინამძღოლი ილღაზი ანტიოქია-იერუსალიმის ნაცვლად საქართველოსკენ გამოეშურა მაჰმადიანთა კოალიციური ლაშქრით.

აღმოსავლური წყაროები მოგვითხრობენ ქართველთა მხედრობის თავდასხმას მაჰმადიანურ ოლქებზე 1120 წელს; ხოლო ერთი მათგანი ასახელებს, კერძოდ, სირიას.

იმავდროულად, დავით აღმაშენებლის ისტორიკოსის ცნობით, 1120 წლის ნოემბერში **„წარვიდა მეფე აშორნიას, დაესხა თურქმანთა, მოსრნა და იავარყვნა“**. აშორნია მდებარეობს ბასიანის მეზობლად. აქედან არც ისე შორს იყო ზემოხსენებულ ილღაზის სამფლობელონი — მარდინი და მაიაფარიკინი.

როგორც ჩანს, ეს ცნობები ერთსა და იმავე მოვლენას ეხება — საქართველოს სამხედრო დახმარებას შესუსტებული ჯვაროსნებისათვის.

ბალდუინის საიდუმლო ვიზიტის მიზანიც, ალბათ, ეს იყო და ქართველმა მეფემ პირნათლად შეასრულა თავისი ვალი — აღმოსავლეთიდან დაემუქრა მძლეთამძლე ილღაზის ანუ მეორე ფრონტი გაუხსნა.

ვრცელსა და მშფოთვარე მაჰმადიანურ ზღვაში ჩაკარგული ქრისტიანული კუნძული შემწეობის ხელს უწვდიდა ამ მრისხანე ზღვის ტალღების დასაოკებლად შემოჭრილ ქრისტიანულ ხომალდებს.

ანტიოქიის სამთავროს კანცლერი **გოტიე** გადმოგვცემს, რომ ილღაზიმ, ერთ ხორასნელ სულტანთან ერთად, გადაწყვიტა დავით მეფის წინააღმდეგ გალაშქრება და მისი მოსპობა, რათა ხელები გახსნოდა ანტიოქია — იერუსალიმის დასამორჩილებლად. არაბი ისტორიკოსი ალ-ფარიკი ასევე ილღაზის მიიჩნევს საქართველოზე ლაშქრობის ინიციატორად. ვიდრე ილღაზი საქართველოში იმყოფებოდა, ჯვაროსნებმა შეუტიეს უპატრონოდ მიტოვებულ ალეპოს და კინაღამ არ აიღეს იგი. 1121 წელს მთელი ზაფხულის განმავლობაში გრძელდებოდა ბალდუინის გამარჯვებანი. თავად ილღაზი კი დიდგორის ომში მძიმედ დაიჭრა და მომდევნო წელს სული განუტევა.

ასე დასრულდა ამბავი ჯვაროსანთა ყველაზე სახიფათო მტრისა.

როგორც ცნობილია, გოტიეს სიტყვით, ორასი ჯვაროსანი რაინდი მონაწილეობდა დიდგორის ომში. მაშასადამე, ჯვაროსნებიც არ აყოვნებდნენ ვალის გადახდას.

**როგორც ამბობდა პოეტი — დიდგორით დიდი გული აქვს ქართველს...**

მოამზადა

**ᲚᲐᲨᲐ ᲒᲘᲝᲠᲒᲐᲫᲔᲛ**

**ᲗᲘᲗᲝᲔᲣᲚ ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲡ ᲡᲐᲙᲣᲗᲐᲠᲘ ᲠᲣᲡᲗᲐᲕᲔᲚᲘ ᲰᲧᲐᲕᲡ.**

**ᲗᲘᲗᲝᲔᲣᲚᲘ ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲘ ᲡᲐᲗᲐᲕᲘᲡᲝᲓ ᲙᲘᲗᲮᲣᲚᲝᲑᲡ „ᲕᲔᲤᲮᲘᲡᲢᲧᲐᲝᲡᲐᲜᲡ“.**

**ᲧᲝᲕᲔᲚ ᲬᲐᲙᲘᲗᲮᲕᲐᲖᲔ ᲡᲘᲢᲧᲕᲘᲡ ᲫᲐᲚᲘᲡ ᲐᲮᲐᲚ ᲡᲐᲝᲪᲠᲔᲑᲔᲑᲡ ᲐᲦᲛᲝᲩᲔᲜᲔᲑᲡ ᲓᲐ ᲡᲣᲚᲘ ᲣᲜᲐᲗᲓᲔᲑᲐ.**

**„ᲮᲔᲚᲨᲘ ᲐᲒᲘᲦᲔᲑ, ᲒᲐᲙᲝᲪᲔᲑ, ᲙᲘᲓᲔᲕ ᲩᲐᲒᲙᲝᲪᲜᲘ ᲩᲐᲒᲪᲘᲚᲔᲠᲘ, ᲬᲘ�გᲜᲘ ᲙᲘ ᲐᲠᲐ ᲟᲠᲯᲝᲚᲐ ᲮᲐᲠ, ᲩᲐᲛᲝᲥᲐᲤᲣᲚᲘ ᲩᲐᲜᲩᲭᲔᲠᲘ“,** — გაგახსენდება გოგლა ლეონიძის შეფასება და, თუ კაცი ხარ, თუ გული გაქვს, თუ თვალადური სიტყვის მადლი იცი, თუ ქართველობა გეამაყება, „შემაძრწუნებლად ხარ ბედნიერი“...

დიდი პოეტური საქართველოს ერთი პატარა, სევდიანი, ზღვისპირა სოფლის განმუხურის მერვე კლასის მოსწავლე იყო გურამ ახალაია, როცა ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელმა რუსთაველის „ვეფხისტყაოსანი“ უსახსოვრა...



ᲓᲐᲡᲐᲬᲧᲘᲡᲘ

ᲠᲝᲛᲔᲚᲛᲐᲜ ᲩᲥᲕᲜᲐ ᲚᲐᲛᲬᲐᲠᲘ ᲫᲚᲘᲠᲘᲗᲐ ᲛᲘᲗ ᲫᲚᲘᲠᲘᲗᲐ,
ᲑᲣᲜᲐᲠᲓᲘᲗᲘ ᲐᲠᲘᲡᲜᲘ ᲚᲐᲛᲠᲘᲗᲐ ᲧᲕᲜᲐ ᲑᲣᲜᲘᲗ ᲛᲝᲜᲐᲑᲠᲘᲗᲐ,
ᲩᲕᲣᲜ, ᲙᲘᲗᲘᲗ, ᲛᲝᲛᲔᲓᲘᲡᲐ ᲥᲕᲔᲧᲜᲐᲜ, ᲓᲐᲕᲘᲗᲘᲡ ᲬᲘᲗᲔᲚᲘᲡᲐᲜ ᲤᲔᲠᲘᲗᲐ,
ᲓᲐᲛᲘᲚᲔᲑᲐᲜ ᲐᲠᲘᲡ ᲧᲝᲕᲚᲘ ᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲔ ᲚᲐᲮᲘᲗᲐ ᲛᲘᲡᲐᲛᲘᲠᲘᲗᲐ.

ᲰᲔ, ᲚᲐᲛᲠᲘᲗᲘᲗ ᲠᲘᲗᲘᲗ, ᲩᲕᲜ ᲨᲔᲣᲠᲩᲕᲜᲗ ᲚᲐᲮᲔ ᲧᲝᲕᲚᲘᲡᲐ ᲥᲐᲠᲗᲚᲘᲡᲐ,
ᲩᲕᲜ ᲓᲐᲛᲘᲪᲕᲐᲠᲔ, ᲛᲝᲚᲔᲓ ᲩᲕᲜ ᲓᲐᲗᲠᲒᲣᲜᲕᲔᲓᲘ ᲩᲔ ᲚᲐᲥᲐᲠᲗᲚᲘᲡᲐ,
ᲛᲝᲛᲪᲔᲗ ᲛᲘᲯᲜᲣᲠᲘᲗᲐ ᲚᲐᲛᲠᲘᲗᲘ, ᲚᲘᲒᲕᲘᲓᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲓᲐᲚᲐᲥᲐᲠᲗᲚᲘᲡᲐ,
ᲓᲐ ᲥᲝᲠᲬᲚᲗᲐᲗᲐ ᲩᲔᲚᲐᲪᲘᲡᲗᲕᲘᲡ, ᲛᲐᲜ ᲗᲐᲜᲓᲠᲔᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ.

ᲒᲐᲛᲐᲛᲬᲧᲔᲚᲘ ᲘᲚᲘᲐ II

1

ᲗᲐᲕᲔᲚᲘᲡ „ᲕᲔᲤᲮᲘᲡᲢᲧᲐᲝᲡᲐᲜᲘ“ ᲣᲡᲐᲮᲡᲝᲕᲠᲐ...

ᲘᲛᲘᲡ ᲛᲔᲠᲔ ᲗᲐᲕᲘᲡᲘ ᲠᲣᲡᲗᲐᲕᲔᲚᲘ ᲰᲧᲐᲕᲡ ᲐᲛ ᲒᲝᲜᲘᲔᲠ ᲓᲐ ᲤᲣᲫᲔᲓᲚᲘᲔᲠ ᲙᲐᲪᲡ. ᲘᲜᲟᲘᲜᲔᲠᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲘᲣᲠᲘᲡᲢᲘᲡ ᲞᲠᲝᲤᲔᲡᲘᲔᲑᲘ, ᲡᲐᲣᲛᲐᲝᲓ ᲛᲐᲦᲐᲚᲘ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝᲔᲑᲠᲘᲕᲘ ᲓᲐ ᲡᲐᲖᲝ�გᲐᲓᲝᲔᲑᲠᲘᲕᲘ ᲗᲐᲜᲐᲛᲓᲔᲑᲝᲛᲔᲑᲘ ᲡᲐᲙᲣᲗᲐᲠᲘ ᲝᲪᲜᲔᲑᲘᲡ ᲐᲦᲡᲠᲣᲚᲔᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲘᲧᲔᲜᲐ ᲓᲐ „ᲕᲔᲤᲮᲘᲡᲢᲧᲐᲝᲡᲐᲜᲘᲡ“ ᲒᲐᲛᲝᲪᲔᲛᲐᲗᲐ ᲨᲔ�გᲠᲝᲕᲔᲑᲐ ᲓᲐᲘᲬᲧᲝ.

ᲓᲦᲔᲡ �გᲣᲠᲐᲛ ᲐᲮᲐᲚᲐᲘᲐ ᲪᲜᲝᲑᲘᲚᲘᲐ, ᲛᲘᲡ ᲙᲝᲚᲔᲥᲪᲘᲐᲨᲘ ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝᲡ ᲮᲐᲚᲮᲗᲐ ᲝᲠᲛᲝᲪᲓᲐᲗᲮᲣᲗᲛᲔᲢ ᲔᲜᲐᲖᲔ ᲒᲐᲛᲝᲪᲔᲛᲣᲚᲘ ᲮᲣᲗᲐᲡᲐᲛᲓᲔ „ᲕᲔᲤᲮᲘᲡᲢᲧᲐᲝᲡᲐᲜᲘ“ ᲓᲐ 5000-ᲖᲔ ᲛᲔᲢᲘ ᲛᲘᲜᲘᲐᲢᲘᲣᲠᲣᲚᲘ ᲬᲘ�გᲜᲘ ᲘᲜᲐᲮᲔᲑᲐ...

ᲝᲪᲘᲝᲓᲔ ᲬᲚᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲗ �გᲣᲠᲐᲛ ᲐᲮᲐᲚᲐᲘᲐᲛ ᲔᲠᲘᲡ ᲦᲘᲠᲡᲔᲣᲚ ᲨᲕᲘᲚᲗᲐ ᲙᲝᲰᲝᲠᲢᲐᲡ „ᲕᲔᲤᲮᲘᲡᲢᲧᲐᲝᲡᲜᲘᲡ“ ᲗᲘᲗᲝᲜ ᲒᲕᲔᲠᲓᲘᲡ ᲒᲐᲓᲐᲬᲔᲠᲐ ᲡᲗᲮᲝᲕᲐ, ᲠᲝᲛ, ᲫᲕᲔᲚᲘ ᲡᲐᲣᲙᲣᲜᲔᲔᲑᲘᲡ ᲢᲠᲐᲓᲘᲪᲘᲘᲡᲐᲛᲔᲑᲠ, ᲝᲪᲓᲐᲛᲔᲔᲠᲗᲔ ᲡᲐᲣᲙᲣᲜᲘᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲝᲪᲬᲚᲔᲣᲚᲘᲡ ᲮᲔᲚᲜᲐᲬᲔᲠᲘ „ᲕᲔᲤᲮᲘᲡᲢᲧᲐᲝᲡᲐᲜᲘ“ (ᲞᲝᲔᲛᲘᲡ ᲓᲐᲡᲐᲬᲧᲘᲡᲘ) ᲣᲚᲐᲛᲐᲖᲔᲡᲘ ᲮᲔᲚᲠᲗᲕᲘᲡ ᲛᲘᲰᲔᲓᲕᲘᲗ, ᲐᲮᲐᲚᲘ ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲨᲢᲠᲘᲤᲢᲘ ᲘᲥᲛᲜᲔᲑᲐ... ᲮᲝᲚᲝ, ᲥᲐᲠᲗᲣᲚ ᲚᲘᲢᲔᲠᲐᲢᲣᲠᲐᲗᲛᲪᲝᲓᲜᲔᲝᲑᲐᲨᲘ, ᲙᲣᲚᲢᲣᲠᲘᲡ ᲘᲡᲢᲝᲠᲘᲐᲨᲘ, ᲕᲐᲮᲢᲐᲜ�გᲘᲡᲔᲣᲚᲘ, ᲐᲜᲐᲡᲔᲣᲚᲘ, ᲛᲐᲠᲘᲐᲛᲘᲡᲔᲣᲚᲘ, ᲚᲔᲕᲐᲜ ᲓᲐᲓᲘᲐᲜᲘᲡᲔᲣᲚᲘ ᲮᲔᲚᲜᲐᲬᲔᲠᲘ „ᲕᲔᲤᲮᲘᲡᲢᲧᲐᲝᲡᲜᲔᲑᲘᲡ“ ᲓᲐᲠᲐᲓ, ᲐᲛᲘᲔᲠᲘᲓᲐᲜ ᲓᲐᲛᲙᲕᲘᲓᲠᲓᲔᲑᲐ �გᲣᲠᲐᲛ ᲐᲮᲐᲚᲐᲘᲐᲡᲔᲣᲚᲘ „ᲕᲔᲤᲮᲘᲡᲢᲧᲐᲝᲡᲐᲜᲘ“...

**ᲒᲘᲚᲝᲪᲐᲕᲗ, ᲑᲐᲢᲝᲜᲝ �გᲣᲠᲐᲛ! ᲒᲛᲐᲓᲚᲝᲑᲗ, ᲑᲐᲢᲝᲜᲝ ᲗᲣᲠᲐᲛ!**

**ᲡᲞᲐᲠᲢᲐᲙ ᲥᲝᲑᲣᲚᲘᲐ**

# ᲒᲣᲠᲐᲛ ᲐᲮᲐᲚᲐᲘᲐᲡᲔᲣᲚᲘ ᲮᲔᲚᲜᲐᲬᲔᲠᲘ „ᲕᲔᲤᲮᲘᲡᲢᲧᲐᲝᲡᲐᲜᲘ“

24 ᲜᲝᲔᲛᲑᲔᲠᲡ ᲛᲣᲚᲢᲘᲤᲣᲜᲥᲪᲘᲣᲠ ᲪᲔᲜᲢᲠ „ᲠᲣᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲘᲡ“ ᲡᲐᲐᲥᲢᲝ ᲓᲐᲠᲑᲐᲖᲨᲘ ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲡᲘᲢᲧᲕᲘᲔᲠᲔᲑᲘᲡ ᲭᲔᲨᲛᲐᲠᲘᲢᲘ ᲒᲐᲜᲔᲗᲘᲡ ᲬᲐᲠᲓᲒᲘᲜᲔᲑᲐ ᲒᲐᲘᲛᲐᲠᲗᲐ.

...ᲐᲡᲔ ᲒᲣᲚᲬᲠᲤᲔᲚᲐᲓ ᲒᲐᲮᲐᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲘᲜᲢᲔᲚᲘ�გᲔᲜᲪᲘᲐ ᲙᲐᲠ�გᲐ ᲮᲐᲜᲘᲐ ᲐᲠ ᲛᲘᲜᲐᲮᲐᲕᲡ. „ᲕᲔᲤᲮᲘᲡᲢᲧᲐᲝᲡᲜᲘᲡ“ 300-ᲛᲓᲔ ᲒᲐᲓᲐᲛᲬᲔᲠᲡ �გᲣᲠᲐᲛ ᲐᲮᲐᲚᲐᲘᲐᲛ ᲔᲡ ᲮᲔᲚᲘᲮᲔᲚᲡᲐ�გᲝᲒᲛᲜᲔᲑᲘ ᲬᲘ�გᲜᲘ ᲣᲡᲐᲮᲡᲝᲕᲠᲐ...

ᲨᲔᲮᲕᲔᲓᲠᲐᲡ ᲩᲕᲔᲣᲚᲘ ᲡᲘᲓᲘᲜᲯᲘᲗ ᲣᲫᲦᲕᲔᲒᲝᲓᲐ ᲪᲜᲝᲑᲘᲚᲘ ᲢᲔᲚᲔᲔᲣᲠᲜᲐᲚᲘᲡᲢᲘ ᲒᲝᲓᲔᲠᲫᲘ ᲨᲐᲠᲐᲨᲘᲐ.

ᲐᲮᲐᲚᲘ „ᲕᲔᲤᲮᲘᲡᲢᲧᲐᲝᲡᲜᲘᲡ“ ᲛᲜᲘᲨᲕᲜᲔᲚᲝᲒᲑᲖᲔ ᲘᲡᲐᲣᲑᲠᲔᲡ ᲮᲔᲚᲜᲐᲬᲔᲠᲗᲐ ᲛᲮᲐᲢᲕᲐᲠ-ᲠᲔᲡᲢᲐᲕᲠᲐᲢᲝᲠᲛᲐ ᲚᲘᲐ ᲡᲘᲮᲐᲠᲣᲚᲘᲫᲔᲛ, ᲛᲬᲔᲠᲚᲔᲑᲛᲐ ᲠᲔᲖᲝ ᲛᲘᲨᲕᲔᲚᲐᲫᲔᲛ, ᲛᲐᲧᲕᲐᲚᲐ ᲒᲝᲜᲐᲨᲕᲘᲚᲛᲐ (ᲛᲐᲜᲕᲔ „ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲙᲣᲚᲢᲣᲠᲘᲡ ᲐᲛᲐᲒᲓᲐᲠᲘᲡ“ ᲡᲐᲞᲐᲢᲘᲝ ᲓᲘᲞᲚᲝᲛᲘ ᲒᲐᲓᲐᲡᲪᲐ �გᲣᲠᲐᲛ ᲐᲮᲐᲚᲐᲘᲐᲡ), ᲞᲝᲔᲢᲛᲐ ᲔᲠᲔᲙᲚᲔ ᲡᲐᲦᲚᲘᲐᲜᲛᲐ, ᲛᲡᲐᲮᲘᲝᲛᲛᲐ ᲔᲚᲓᲘᲜᲝ ᲡᲐᲦᲐᲠᲐᲫᲔᲛ, ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲔᲑᲗᲐᲗᲐ ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲐᲙᲐᲓᲔᲛᲘᲘᲡ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲔᲜᲢᲛᲐ �გᲘᲝᲠ�გᲘ ᲙᲕᲔᲡᲘᲢᲐᲫᲔᲛ, ᲙᲘᲜᲝᲠᲔᲯᲘᲡᲝᲠᲛᲐ ᲛᲔᲠᲐᲠ ᲙᲝᲙᲝᲩᲐᲨᲕᲘᲚᲛᲐ, ᲠᲣᲡᲗᲐᲕᲔᲚᲘᲡ ᲡᲐᲖᲝ�გᲐᲓᲝᲔᲑᲘᲡ ᲗᲐᲕᲛᲯᲓᲝᲛᲐᲠᲔᲛ, ᲞᲝᲔᲢᲛᲐ ᲓᲐᲕᲘᲗ ᲨᲔᲛᲝᲥᲛᲔᲓᲔᲚᲛᲐ...




ᲬᲘ�გᲜᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲒᲔᲜᲔᲚᲛᲐ �გᲣᲠᲐᲛ ᲐᲮᲐᲚᲐᲘᲐᲛ ᲛᲐᲓᲚᲝᲑᲐ ᲛᲝᲐᲮᲡᲔᲜᲐ ᲐᲛ ᲡᲐᲨᲕᲘᲚᲘᲨᲕᲘᲚᲝ ᲡᲐᲥᲛᲘᲡ ᲛᲮᲐᲠᲓᲐᲛᲭᲔᲠᲔᲑᲡ, ᲛᲮᲐᲢᲕᲐᲠ-ᲠᲔᲡᲢᲐᲕᲠᲐᲢᲝᲠᲔᲑᲡ, ᲒᲐᲛᲝᲛᲪᲔᲛᲚᲔᲑᲡ, ᲟᲣᲠᲜᲐᲚᲘᲡᲢᲔᲑᲡ, ᲘᲛ 300 ᲒᲐᲓᲐᲛᲬᲔᲠᲡ (ᲕᲘᲜᲪ ᲣᲙᲕᲔ ᲒᲐᲠᲓᲐᲘᲪᲕᲐᲚᲐ — ᲘᲛᲐᲗᲘ ᲝᲯᲐᲮᲘᲡ ᲬᲔᲕᲠᲔᲑᲡ), ᲠᲝᲛᲔᲚᲗᲐ ᲦᲕᲐᲬᲚᲘ ᲒᲐᲜᲣᲖᲝᲛᲔᲚᲘᲐ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲮᲔᲚᲜᲐᲬᲔᲠᲘ „ᲕᲔᲤᲮᲘᲡᲢᲧᲐᲝᲡᲜᲘᲡ“ ᲒᲐᲛᲝᲑᲠᲬᲧᲘᲜᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲥᲛᲔᲨᲘ.

ᲐᲙᲐᲓᲔᲛᲘᲙᲝᲡᲛᲐ ᲠᲝᲘᲜ ᲛᲔᲢᲠᲔᲕᲔᲚᲛᲐ ᲡᲘᲮᲐᲠᲣᲚᲘᲗ ᲒᲕᲐᲛᲪᲜᲝ, ᲠᲝᲛ ᲡᲠᲣᲚᲘᲐᲓ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲙᲐᲗᲝᲚᲘᲙᲝᲡ-ᲞᲐᲢᲠᲘᲐᲠᲥᲘᲡ, ᲣᲬᲛᲘᲜᲓᲔᲡᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲣᲜᲔᲢᲐᲠᲔᲡᲘᲡ ᲘᲚᲘᲐ II-ᲘᲡ ᲛᲘᲔᲠ ᲒᲐᲓᲐᲬᲔᲠᲘᲚᲘ „ᲕᲔᲤᲮᲘᲡᲢᲧᲐᲝᲡᲜᲘᲡ“ (ᲞᲝᲔᲛᲘᲡ ᲓᲐᲡᲐᲬᲧᲘᲡᲘ) ᲣᲚᲐᲛᲐᲖᲔᲡᲘ ᲮᲔᲚᲠᲗᲕᲘᲡ ᲛᲘᲰᲔᲓᲕᲘᲗ, ᲐᲮᲐᲚᲘ ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲨᲢᲠᲘᲤᲢᲘ ᲘᲥᲛᲜᲔᲑᲐ... ᲮᲝᲚᲝ, ᲥᲐᲠᲗᲣᲚ ᲚᲘᲢᲔᲠᲐᲢᲣᲠᲐᲗᲛᲪᲝᲓᲜᲔᲝᲑᲐᲨᲘ, ᲙᲣᲚᲢᲣᲠᲘᲡ ᲘᲡᲢᲝᲠᲘᲐᲨᲘ, ᲕᲐᲮᲢᲐᲜ�გᲘᲡᲔᲣᲚᲘ, ᲐᲜᲐᲡᲔᲣᲚᲘ, ᲛᲐᲠᲘᲐᲛᲘᲡᲔᲣᲚᲘ, ᲚᲔᲕᲐᲜ ᲓᲐᲓᲘᲐᲜᲘᲡᲔᲣᲚᲘ ᲮᲔᲚᲜᲐᲬᲔᲠᲘ „ᲕᲔᲤᲮᲘᲡᲢᲧᲐᲝᲡᲜᲔᲑᲘᲡ“ ᲓᲐᲠᲐᲓ, ᲐᲛᲘᲔᲠᲘᲓᲐᲜ ᲓᲐᲛᲙᲕᲘᲓᲠᲓᲔᲑᲐ �გᲣᲠᲐᲛ ᲐᲮᲐᲚᲐᲘᲐᲡᲔᲣᲚᲘ „ᲕᲔᲤᲮᲘᲡᲢᲧᲐᲝᲡᲐᲜᲘ“...

**ᲒᲘᲚᲝᲪᲐᲕᲗ, ᲑᲐᲢᲝᲜᲝ ᲗᲐᲛᲐᲠ! ᲒᲛᲐᲓᲚᲝᲑᲗ, ᲑᲐᲢᲝᲜᲝ ᲗᲐᲛᲐᲠ!**

**ᲡᲞᲐᲠᲢᲐᲙ ᲥᲝᲑᲣᲚᲘᲐ**



250

# ᲡᲐᲛᲝᲥᲐᲚᲐᲥᲝ ᲝᲛᲘᲡ ᲬᲘᲜ ᲒᲐᲚᲘᲡ ᲠᲐᲘᲝᲜᲨᲘ 75 ᲐᲗᲐᲡᲘ ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲘ ᲪᲮᲝᲕᲠᲝᲑᲓᲐ!..

## 1 ᲘᲐᲜᲕᲠᲘᲓᲐᲜ ᲒᲐᲚᲔᲚᲔᲑᲘ ᲓᲔ ᲤᲐᲥᲢᲝ ᲡᲐᲖᲦᲕᲐᲠᲡ „ᲤᲝᲠᲛᲐ №9“-ᲘᲗ ᲕᲔᲚᲐᲠ ᲒᲐᲓᲐᲙᲕᲔᲗᲔᲜ...

**ᲝᲙᲣ�პᲘᲠᲔᲑᲣᲚ** აფხაზეთში ე.წ. **„ფორმა №9“-ის მოქმედების ვადა 2022 წლის 1 იანვარს იწურება და ამ დროიდან გალის რაიონის მცხოვრებლები ამ დოკუმენტით დე ფაქტო საზღვრის კვეთას ვეღარ შეძლებენ,** — განაცხადა გალის დე ფაქტო ადმინისტრაციის ხელმძღვანელის მოადგილემ ჯამბულ კორტავამ.

**„გალელებისთვის, რომლებსაც ჯერ არ წარუდგენიათ განაცხადი ბინადრობის მოწმობაზე ან აფხაზეთის მოქალაქეობაზე, აუცილებელია, ეს სასწრაფოდ გააკეთონ. დოკუმენტის გახანგრძლივებისთვის კი გალის ადმინისტრაციამ აფხაზეთის მთავრობას უნდა მიმართოს“,** — აღნიშნა მან.

კორტავას განმარტებით, „ბინადრობის მოწმობის“ მისაღებად ადამიანი სულ მცირე, 10 წელი უნდა ცხოვრობდეს აფხაზეთის ტერიტორიაზე. **„შემდგომში მხოლოდ ასეთ პირებს შეუძლიათ, იქონიონ პრეტენზია აფხაზეთის მოქალაქეობის მიღებაზე, მაგრამ აფხაზური პასპორტის მისაღებად აუცილებელ პირობას საქართველოს მოქალაქეობაზე უარის თქმა წარმოადგენს“,** — დასძინა მან.

**ᲪᲜᲝᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ:** ოფიციალური ინფორმაციით, დღეს გალის რაიონში 30 000-მდე ადამიანი ცხოვრობს, მათგან 5 000-ზე მეტს მხოლოდ ე.წ. „ფორმა №9“ გააჩნია, „აფხაზეთის მოქალაქის“ პასპორტი კი — მხოლოდ 1049-ს;

19 000 გალელს ე.წ. ბინადრობის მოწმობა აქვს გაფორმებული. 2014 წელს აფხაზურ პოლიტიკურ წრეებში გალელების ე.წ. „უკანონო პასპორტიზაციის“ თემა ამოტივტივდა, რომელიც მოგვიანებით დე ფაქტო ხელისუფლების შეცვლის ერთ-ერთ მთავარ მიზეზად იქცა. გალელებს აფხაზური „მოქალაქეობა“ გაუუქმეს. დაიწყო ახალი „პასპორტიზაცია“, თუმცა პროცესი წლობით გაჭიანურდა, მათ შორის — საქართველოს მოქალაქეობაზე უარის თქმის სავალდებულო პირობის გამო. მოსახლეობის მიერ აფხაზური „მოქალაქეობის“ არქონის მიზეზით 5 წლის განმავლობაში გალის დე ფაქტო რაიონული საკრებულოს არჩევნები არ ტარდებოდა, ვინაიდან ხმის მიცემის უფლება მხოლოდ აფხაზეთის „მოქალაქეებს“ გააჩნიათ!..



## ᲑᲐᲠᲑᲐᲓᲝᲡᲛᲐ ᲓᲔᲓᲝᲤᲚᲘᲡ ᲛᲛᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲑᲐᲖᲔ ᲣᲐᲠᲘ ᲗᲥᲕᲐ

**ᲫᲕᲔᲚᲘᲡ** **დედაქალაქ ბრიჯთაუნში გამართულ ღონისძიებაზე დემ სანდრა მეისონმა საპრეზიდენტო ფიცი დადო, რომელიც ქვეყნის დამოუკიდებლობის 55 წლის იუბილეს დაამთხვიეს.**

ღონისძიებას უელსის პრინცი ჩარლზი და ბარბადოსელი მომღერალი რიანა ესწრებოდნენ. როგორც მედია წერს, სიტყვით გამოსვლისას, პრინცმა ჩარლზმა აღიარა კარიბის ზღვის კუნძულის „მონობის შემზარავი სისასტიკე“. გასულ თვეში პარლამენტში კენჭისყრის შემდეგ, 2018 წლიდან კუნძულის გენერალ-გუბერნატორი, 72 წლის დემ სანდრა მეისონი დასახელდა ერის არჩეულ პრეზიდენტად. მედიის ცნობით, ბარბადოსმა რესპუბლიკად ქცევის გეგმა გასულ წელს გამოაცხადა, მაგრამ ის თანამეგობრობის ფარგლებში დარჩება.

პოპ მომღერალ რიანას ბარბადოსის ეროვნული გმირის წოდება მიანიჭეს. კარიბის ზღვის კუნძულზე პირველი ბრიტანული გემი 400 წლის წინ ჩავიდა.

## ᲚᲐᲢᲕᲘᲐ ᲐᲨᲨ-Ს ᲘᲛᲔᲓᲖᲔ ᲠᲩᲔᲑᲐ

**ᲚᲐᲢᲕᲘᲐᲡ** **სჭირდება ქვეყანაში აშშ-ის სამხედროების მუდმივად განთავსება რუსეთის შესაკავებლად,** — ამის შესახებ ლატვიის თავდაცვის მინისტრმა, არტის პაბრიკსმა ნატოს გენერალური მდივნის რიგაში ვიზიტისას განაცხადა. მინისტრის თქმით, ლატვიას სურს, თავისი თავდაცვა გააძლიეროს ამერიკული „პეტრიოტის“ საჰაერო თავდაცვის სისტემებით. 30 ნოემბერს და პირველ დეკემბერს რიგა ნატოს საგარეო საქმეთა მინისტერიალს მასპინძლობს, რომელშიც აშშ-ის სახელმწიფო მდივანი ენტონი ბლინკენიც მიიღებს მონაწილეობას.

**„ჩვენ გვჭირდება დამატებითი საერთაშორისო დახმარება. ჩვენ ვისურვებდით, ჩვენ ქვეყანაში აშშ-ის მუდმივ სამხედრო წარმომადგენლობას. საზღვაო და საჰაერო თავდაცვა ნიშნავს ძირითადად ისეთ სისტე-**

**მებზე გადასვლას, როგორიცაა „პეტრიოტი“,** — განუცხადა ლატვიის თავდაცვის მინისტრმა საგენტო „როიტერს“. შეგახსენებთ, რომ 2014 წელს რუსეთის მიერ ყირიმის ანექსიის შემდეგ, ნატომ აღმოსავლეთ ფლანგზე — პოლონეთსა და ბალტიის სამ ქვეყანაში 2017 წლიდან ოთხი მრავალეროვნული ბატალიონი განათავსა.




## ᲐᲡᲔᲗᲘ ᲠᲗᲣᲚᲘ ᲛᲓᲒᲝᲛᲐᲠᲔᲝᲑᲐ ᲮᲝᲠᲑᲐᲚᲗᲐᲜ ᲓᲐᲙᲐᲕᲨᲘᲠᲔᲑᲘᲗ ᲐᲠᲪ ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝᲨᲘ ᲓᲐ ᲐᲠᲪ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲨᲘ ᲐᲠ ᲧᲝᲤᲘᲚᲐ

**ხორბალსა და ფქვილზე მსოფლიოში ისეთი დაძაბული ვითარებაა შექმნილი, რომ ნებისმიერ დროს კოლაფსია მოსალოდნელი. ფასი იზრდება ყველგან, მოთხოვნა არაადეკვატურად მატულობს, მწარმოებლები დამატებით გადასახადებს აწესებენ. საფრთხის წინაშე ყველა მომხმარებელი ქვეყანა და მათ შორის საქართველოც არის, სადაც მარცვლეულის ორთვიანი მარაგი შემცირებულია.**

ხორბლისა და ფქვილის მწარმოებელთა ასოციაციის ხელმძღვანელის **ლევან სილაგავას** განცხადებით, იქიდან გამომდინარე, რომ ხორბლის გლობალური ფასი კვლავ მზარდია, კონკრეტული ნაბიჯებია გადასადგმელი, რათა საქართველოში ხორბლის იმპორტს აზრი ჰქონდეს, პურის ფასი შენარჩუნდეს და ამასთან, წისქვილკომბინატები არ დაიხუროს.

**რუსული ხორბლის საექსპორტო ფასმა ტონაზე რეკორდულ ნიშნულს მიაღწია. ამ დროისთვის ერთი ტონა ხორბალი 340 დოლარი ღირს. თუმცა, როგორც რუსული აგროექსპორტიორთა კავშირი ვარაუდობს, ხორბლის ღირებულებამ შესაძლოა, 400 დოლარს გადააჭარბოს. აგრარული ბაზრის კვლევის ინსტიტუტის პროგნოზით, გაისად რუსეთი „მარცვლეულის საშუალო მოსავალს“ მიიღებს.**

**მძიმე მდგომარეობაა ჩიკაგოს მარცვლეულის ბირჟაზე, სადაც 1 ბუშელი (25 კგ) ხორბლის ფასმა 8,50 დოლარს გადააჭარბა.**

გლობალური ფასების ასეთი ზრდა, სხვა მიზეზებთან ერთად, იმიტომაც მოხდა, რომ მსოფლიო მარცვლეულის ერთ-ერთი ექსპორტიორი, ავსტრალია დაიტბორა. ამდენად, არის მოლოდინი, რომ ავსტრალიაში ხორბლის რაოდენობა და ხარისხიც არასათანადო იქნება, რამაც ფასის ზრდა განაპირობა.

**„მსოფლიოს ბაზრებზე ისევ პრობლემაა. როგორც იცით, ავსტრალიაში წყალდიდობაა და მაღაპროტეინიანი ხორბლის დეფიციტია მთელ მსოფლიოში. შესაბამისად, ფასი ისევ ზევით მიდის. ახლა თურქეთმა გამოაცხადა ტენდერი, რომლის აღსრულება 10-დან 31 იანვრამდე უნდა მოხდეს. ტენდერის პირობებით შეთავაზებები აქვთ სხვადასხვა ქვეყნებს და ფასები უკვე მერყეობს 385-425 დოლარის ფარგლებში. ვინ გაიმარჯვებს, ჯერ ცნობილი არ არის, თუმცა უკვე ამ შეთავაზებიდან შეირჩევა ახალი ფასი და ფაქტობრივად, 400 დოლარი იქნება.**

**რაც შეეხება რუსეთის პოზიციას, თუ ფასი 400 დოლარს გადააჭარბებს, თავისთავად შეცვლის საბაჟო გადასახადის გამოთვლის ფორმულას. ეს ნიშნავს, რომ ფასი კიდევ გაზრდისკენ იქნება მიმართული და შემცირდება ექსპორტი. ამასთან, 15 თებერვლიდან რუსეთს დაანონსებული აქვს კვოტირების მექანიზმი ხორბალზე. ისინი 15 თებერვლის მდგომარეობით დაითვლიან სეზონის ბოლომდე რამდენი ხორბალი სჭირდებათ მათ, შესაბამისად, 6 თვის კვოტირებას განსაზღვრავენ, რამდენ ხორბალს გაყიდიან ყოველთვიურად. ესეც დამატებითი წნეხია ფასზე. საკმაოდ რთული მდგომარეობაა რეგიონშიც და მსოფლიოშიც.**

**რაც შეეხება ჩვენს ბაზარს, სტატისტიკის მიხედვით, შემცირებულია ხორბლის შემოტანა. წესით, როდესაც ხორბალი ძვირდება, ჩვენ უფრო მეტი შემოგვაქვს, მაგრამ წელს არაორდინალური ვითარებაა. იქიდან გამომდინარე, რომ რუსეთში მცურავი ბაჟი მოქმედებს (ეს არის დღეს 80 დოლარის ფარგლებში), ხორბალზე და არა ფქვილზე, ჩვენთან ხორბლის შემცირების ხარჯზე, გაზრდილია ფქვილის იმპორტის რაოდენობა. რომ წარმოვიდგინოთ, თუ მსოფლიო ბაზარზე ხორბლის ფასი 400 ან 380 დოლარია, ამას გამოკლებული 80 დოლარი. შესაბამისად, რუსული წისქვილკომბინატები ფქვავენ 300-დოლარიან ხორბალს, ჩოლო ჩვენი — 380-დოლარიანს. სწორედ ამიტომაც არის, რომ ჩვენთან ფქვილი რუსეთიდან შემოდის და რაოდენობრივად არის გაზრდილი“,** — აღნიშნა „ბიზნეპრესნიუსთან“ სილაგავამ.

საქართველოში უკვე შექმნილია სამუშაო ჯგუფი, რომლის ამოცანაა ისეთი გადაწყვეტილების მიღება, რომელიც ხორბლის და ფქვილის იმპორტს დაბალანსებს. წინააღმდეგ შემთხვევაში, ფქვილის იმპორტი კიდევ უფრო გაიზრდება, რაც გრძელვადიან პერსპექტივაში გაცილებით ნეგატიური ეფექტის მომტანი იქნება.

**„უკვე დაიხურა რამდენიმე წისქვილკომბინატი, მათ შორის ბათუმში — „ოქროყანა“, კიდევ ორი გაჩერდა ბათუმში, გორში გაჩერდა „ქართული ხორბალი“, წნორში — ერთი, ასევე კახეთში რამდენიმე. ჯამში, დაახლოებით, 10-მდე ობიექტზეა საუბარი. დანარჩენებმა შეამცირეს სიმძლავრეები იმიტომ, რომ რუსული ფქვილი შემოვიდა და კონკურენციას ვერ უძლებენ.**

**მთავრობისადმი ჩვენი მიმართვიანობაც სწორედ ამას ეხება, რომ კონკურენციის პირობები ჩამოყალიბდეს და ფორა არ ჰქონდეს, იგივე ფქვილის იმპორტს, ხორბლის ადგილობრივ გადამუშავებასთან მიმართებით. ხორბლის გადამუშავება ჩვენთან ღირებულებათა მთელ ჯაჭვს ქმნის — დასაქმება, ქატოს გადამუშავება (თუ წისქვილკომბინატი გაჩერდა, ქატოს იმპორტიც უნდა განხორციელდეს), ამასთან, ადგილობრივ ხორბალს, რომელიც პროგრამებით ფინანსდება, წისქვილკომბინატი თუ გაჩერდა, თავისთავად ვერც ამ ხორბალს იყიდის. პლუს ამას, სასურსათო უსაფრთხოების პრობლემა ჩნდება. იმიტომ, რომ ხორბლის შემთხვევაში ჩვენ 2-თვიანი მარაგებით ვმუშაობთ, ფქვილზე — არა. ჩვენთან ახლა არის ორი გამოწვევა, ერთია პურის ფასი და მეორე სასურსათო უსაფრთხოება, წისქვილების მუშაობა“,** — განაცხადა სილაგავამ.

რაც შეეხება მარაგებს, ხორბლის იმპორტი შემცირებულია, შესაბამისად, რა იქნება სამომავლოდ, ეს ახლა უკვე მთავრობის გადაწყვეტილებაზეა დამოკიდებული. სახარბიელო ვითარება არც მარცვლეულის მწარმოებელ ქვეყნებშია. უკრაინაში წელს დაბალი მოსავალი იყო, რუსეთში — საშუალო, ყაზახეთში კი — გვალვა. აგრარული ბაზრის კვლევის ინსტიტუტის გენერალური დირექტორის, **დიმიტრი რილკოს** შეფასებით, ფასის ტრადიციული შემცირება, რაც ჩვეულებრივ, სასოფლო-სამეურნეო წლის (იანვარ-ივნისის პერიოდის) მეორე ნახევრის დასაწყისში ხდება, ამჯერად შესაძლოა, არ დადასტურდეს.

**„ხორბლის ფასი აბსოლუტურ რეკორდს მიუახლოვდა და შეიძლება ითქვას, რომ წარმოუდგენლად მაღალია. პანდემია ყველანაირ პროგნოზს არღვევს“,** — განაცხადა რილკომ.

საინტერესო ის არის, რომ თუ ადრე ფასი ახალ წლამდე რეკორდულ ნიშნულამდე ადიოდა, შემდეგ ისევ იკლებდა, დღეს პირიქითაა და საექსპორტო ფასი ზრდას განაგრძობს.

**ᲑᲔᲥᲐ ᲓᲐᲜᲔᲚᲘᲐ**

# ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲐ ᲐᲣᲥᲪᲘᲝᲜᲘᲡ ᲩᲐᲢᲐᲠᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 306-306[1]6 მუხლების საფუძველზე სპეციალისტი შპს „ემჯი ჰოლდინგი“ კრედიტორ ს/ს „ვითიბი ბანკი ჯორჯიას“ განცხადების საფუძველზე ატარებს პირველ აუქციონს ირინა აბშილავას საკუთრებაში არსებულ იპოთეკით დატვირთულ უძრავ ქონებაზე.

**აუქციონი ტარდება შემდეგი პირობებით:**

1. **უძრავი ნივთის მესაკუთრე:** ირინა აბშილავა (პ/ნ 62001026731), თბილისი, ლეხ კაჩინსკის ქ. №1, კორპ. №5, სად. 3, სართ. 2, ბინა №6დ, ბლოკი C

**უძრავი ნივთის ადგილმდებარეობა და მოკლე აღწერა:**
თბილისი, ლეხ კაჩინსკის ქ. №1, კორპ. №5, სად. 3, სართ. 2, ბინა №6დ, ბლოკი C (საკადასტრო კოდი: 01.17.13.040.121.01.01.006?).

**უძრავი ნივთის სამართლებრივი მდგომარეობა:** უძრავი ნივთი არ არის დატვირთული გარდამავალი სანივთო ვალდებულებებით.

2. **უძრავი ნივთის საწყისი ფასი:** 37836.96 ლარი;
3. **აუქციონის დაწყების თარიღი:** 2021 წლის 30 ნოემბერი, 14:00 საათი.
4. **აუქციონის დასრულების თარიღი:** 2021 წლის 14 დეკემბერი, 14:00 საათი.
5. **აუქციონის ჩატარების ფორმა:** ელექტრონული აუქციონი ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge.
5.1. **ელექტრონული აუქციონის მონაცემები:** განაცხადის №71271HZP75664921;
აუქციონის ნომერი: 71271 ლოტის ნომერი: 756649
6. **მოვალე:** ირინა აბშილავა (პ/ნ 62001026731), თბილისი, ლეხ კაჩინსკის ქ. №1, კორპ. №5, სად. 3, სართ. 2, ბინა №6დ, ბლოკი C.
7. **აუქციონის გამომცხადებელი სპეციალისტის სახელწოდება და მისამართი:** შპს „ემჯი ჰოლდინგი“ (ს/კ 204572284), მისამართი: ქ. თბილისი, შარტავას ქ. №40, სართული 11.
8. **აუქციონის პირობები:**
   - აუქციონში მონაწილეობის მიღების უფლება აქვს ნებისმიერ პირს, მათ შორის, კრედიტორს, მოვალეს და მესაკუთრეს;
   - მესაკუთრეს ან ნებისმიერ პირს მესაკუთრესთან შეთანხმებით ან/და მესამე პირს, რომლის უფლებაც შეიძლება შეილახოს აუქციონის შედეგად, უფლება აქვს, აუქციონის ჩატარებამდე მოთხოვნის დაკმაყოფილებით თავიდან აიცილოს აუქციონი;
   - აუქციონში მონაწილეობის მსურველმა, აუქციონის დაწყებამდე უნდა წარმოადგინოს საბანკო გარანტია უძრავი ნივთის საწყისი ფასის 10%-ის ოდენობით, რომელიც უნდა უზრუნველყოფდეს აუქციონში გამარჯვების შემთხვევაში თანხის სრულად გადახდას. საბანკო გარანტიის ბენეფიციარი უნდა იყოს კრედიტორი – ს/ს „ვითიბი ბანკი ჯორჯია“.
   - აუქციონში გამარჯვებული პირი ვალდებულია, ქონების შეძენიდან 7 დღის ვადაში სრულად გადაიხადოს უძრავი ნივთის ღირებულება, რომელიც უნდა შეიტანოს შპს „ემჯი ჰოლდინგის“ საბანკო ანგარიშზე (ს/ს „თიბისი ბანკი“, ანგარიშის ნომერი GE17TB1188736020100003). წინააღმდეგ შემთხვევაში აუქციონის შედეგები გაუქმდება და ჩატარდება ხელახალი აუქციონი. აუქციონში გამარჯვებულ პირს ქონებაზე საკუთრების უფლება წარმოეშობა ფასის სრულად გადახდის შემდეგ.
9. **აუქციონის პირობები:** გამოქვეყნებულია ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge (განაცხადის №71271HZP75664921; ლოტის ნომერი: 756649).

ნებისმიერ პირს, ვისაც გააჩნია უფლებები სარეალიზაციო უძრავ ქონებაზე, ვალდებულია ამ უფლებათა დამადასტურებელი მტკიცებულებები წარმოადგინოს 2021 წლის 14 დეკემბრის 10:00 საათამდე.

# ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲐ ᲐᲣᲥᲪᲘᲝᲜᲘᲡ ᲩᲐᲢᲐᲠᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 306-306[1]6 მუხლების საფუძველზე სპეციალისტი შპს „ემჯი ჰოლდინგი“ კრედიტორ ს/ს „ვითიბი ბანკი ჯორჯიას“ განცხადების საფუძველზე ატარებს პირველ აუქციონს თამარ მარგველაშვილის საკუთრებაში არსებულ იპოთეკით დატვირთულ უძრავ ქონებაზე.

**აუქციონი ტარდება შემდეგი პირობებით:**

1. **უძრავი ნივთის მესაკუთრე:** თამარ მარგველაშვილი (პ/ნ 60002004557), თბილისი, ია ეკალაძის ქ. №3

**უძრავი ნივთის ადგილმდებარეობა და მოკლე აღწერა:**
თბილისი, ია ეკალაძის ქ. №3 (საკადასტრო კოდი: 01.15.03.026.002.01.002).

**უძრავი ნივთის სამართლებრივი მდგომარეობა:** უძრავი ნივთი არ არის დატვირთული გარდამავალი სანივთო ვალდებულებებით.

2. **უძრავი ნივთის საწყისი ფასი:** 29911.94 ლარი;
3. **აუქციონის დაწყების თარიღი:** 2021 წლის 30 ნოემბერი, 14:00 საათი.
4. **აუქციონის დასრულების თარიღი:** 2021 წლის 14 დეკემბერი, 14:00 საათი.
5. **აუქციონის ჩატარების ფორმა:** ელექტრონული აუქციონი ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge.
5.1. **ელექტრონული აუქციონის მონაცემები:** განაცხადის №71271HZP75662921;
აუქციონის ნომერი: 71271 ლოტის ნომერი: 756629
6. **მოვალე:** თამარ მარგველაშვილი (პ/ნ 60002004557), თბილისი, ია ეკალაძის ქ. №3.
7. **აუქციონის გამომცხადებელი სპეციალისტის სახელწოდება და მისამართი:** შპს „ემჯი ჰოლდინგი“ (ს/კ 204572284), მისამართი: ქ. თბილისი, შარტავას ქ. №40, სართული 11.
8. **აუქციონის პირობები:**
   - აუქციონში მონაწილეობის მიღების უფლება აქვს ნებისმიერ პირს, მათ შორის, კრედიტორს, მოვალეს და მესაკუთრეს;
   - მესაკუთრეს ან ნებისმიერ პირს მესაკუთრესთან შეთანხმებით ან/და მესამე პირს, რომლის უფლებაც შეიძლება შეილახოს აუქციონის შედეგად, უფლება აქვს, აუქციონის ჩატარებამდე მოთხოვნის დაკმაყოფილებით თავიდან აიცილოს აუქციონი;
   - აუქციონში მონაწილეობის მსურველმა, აუქციონის დაწყებამდე უნდა წარმოადგინოს საბანკო გარანტია უძრავი ნივთის საწყისი ფასის 10%-ის ოდენობით, რომელიც უნდა უზრუნველყოფდეს აუქციონში გამარჯვების შემთხვევაში თანხის სრულად გადახდას. საბანკო გარანტიის ბენეფიციარი უნდა იყოს კრედიტორი – ს/ს „ვითიბი ბანკი ჯორჯია“.
   - აუქციონში გამარჯვებული პირი ვალდებულია, ქონების შეძენიდან 7 დღის ვადაში სრულად გადაიხადოს უძრავი ნივთის ღირებულება, რომელიც უნდა შეიტანოს შპს „ემჯი ჰოლდინგის“ საბანკო ანგარიშზე (ს/ს „თიბისი ბანკი“, ანგარიშის ნომერი GE17TB1188736020100003). წინააღმდეგ შემთხვევაში აუქციონის შედეგები გაუქმდება და ჩატარდება ხელახალი აუქციონი. აუქციონში გამარჯვებულ პირს ქონებაზე საკუთრების უფლება წარმოეშობა ფასის სრულად გადახდის შემდეგ.
9. **აუქციონის პირობები:** გამოქვეყნებულია ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge (განაცხადის №71271HZP75662921; ლოტის ნომერი: 756629).

ნებისმიერ პირს, ვისაც გააჩნია უფლებები სარეალიზაციო უძრავ ქონებაზე, ვალდებულია ამ უფლებათა დამადასტურებელი მტკიცებულებები წარმოადგინოს 2021 წლის 14 დეკემბრის 10:00 საათამდე.

# ᲠᲝᲛᲔᲚ ᲥᲕᲔᲧᲜᲔᲑᲨᲘᲐ ᲓᲐᲓᲐᲡᲢᲣᲠᲔᲑᲣᲚᲘ „ᲝᲛᲘᲙᲠᲝᲜᲘ“ ᲓᲐ ᲠᲐ ᲕᲘᲪᲘᲗ ᲛᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ?!

**ᲙᲝᲠᲝᲜᲐᲕᲘᲠᲣᲡᲘᲡ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲨᲢᲐᲛᲘ ᲡᲐᲮᲔᲚᲬᲝᲓᲔᲑᲘᲗ „ᲝᲛᲘᲙᲠᲝᲜᲘ“, ᲠᲝᲛᲔᲚᲡᲐᲪ 32 ᲛᲣᲢᲐᲪᲘᲐ ᲐᲥᲕᲡ, ᲣᲙᲕᲔ 10-ᲖᲔ ᲛᲔᲢ ᲥᲕᲔᲧᲐᲜᲐᲨᲘᲐ ᲒᲐᲛᲝᲕᲚᲔᲜᲘᲚᲘ.**

ამ დროისთვის „ომიკრონი“ ბობოქრობს:

**ᲓᲘᲓ ᲑᲠᲘᲢᲐᲜᲔᲗᲨᲘ, ᲒᲔᲠᲛᲐᲜᲘᲐᲨᲘ, ᲘᲢᲐᲚᲘᲐᲨᲘ, ᲡᲐᲤᲠᲐᲜᲒᲔᲗᲨᲘ, ᲓᲐᲜᲘᲐᲨᲘ, ᲘᲡᲠᲐᲔᲚᲨᲘ, ᲩᲔᲩᲔᲗᲨᲘ, ᲙᲐᲜᲐᲓᲐᲨᲘ, ᲰᲝᲜᲒᲙᲝᲜ�გᲨᲘ, ᲐᲕᲡᲢᲠᲐᲚᲘᲐᲨᲘ, ᲜᲘᲓᲔᲠᲚᲐᲜᲓᲔᲑᲨᲘ, ᲑᲔᲚ�გᲘᲐᲨᲘ, ᲡᲐᲛᲮᲠᲔᲗ ᲐᲤᲠᲘᲙᲐᲨᲘ, ᲑᲝᲢᲡᲕᲐᲜᲐᲨᲘ.**

* * *

ᲙᲝᲠᲝᲜᲐᲕᲘᲠᲣᲡᲘᲡ ახალი ვარიანტი B.1.1.529, რომელსაც ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციამ „ომიკრონი“ უწოდა, პირველად ნოემბრის მეორე ნახევარში აფრიკის სამხრეთში – ბოტსვანასა და სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკაში აღმოაჩინეს. „ომიკრონს“, რომელსაც დიდი რაოდენობით მუტაცია (32) აქვს, ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციამ „შეშფოთების გამომწვევი“ სტატუსი მიანიჭა. წინასწარი შეფასებით, კორონავირუსის ეს ვარიანტი შესაძლოა, უფრო სწრაფად გავრცელებადი იყოს, ვიდრე უკვე ფართოდ გავრცელებული „დელტა“. მეცნიერების განცხადებით, მათ, სულ მცირე, ორი კვირა სჭირდებათ, რათა განსაზღვრონ, რამდენად საშიშია ახალი შტამი და მოქმედებენ, თუ არა მასზე სადღეისოდ არსებული კოვიდ–საწინააღმდეგო ვაქცინები.

სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის მედიკოსთა გაერთიანების, SAMA-ს წარმომადგენელთა პირველადი მონაცემებით, ახალი სახეობის ვირუსით ინფიცირებულებს სერიოზული გართულებები არ აღენიშნებათ. თუმცა კვლევა ჯერ საკმაოდ ადრეულ სტადიაზეა.

**ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციაში** აცხადებენ, რომ კორონავირუსის ახალი შტამის „ომიკრონი“ გლობალურად გავრცელების რისკი ძალიან მაღალია. ჯანმო ორგანიზაციის წევრ ქვეყნებს კოვიდ-საწინააღმდეგო ვაქცინაციის ტემპების დაჩქარებისკენ მოუწოდებს.

**„ომიკრონის“ გლობალურად გავრცელების რისკი ძალიან მაღალია. „კოვიდ-19“-ის ახალმა შემთხვევებმა შესაძლოა, მოიმატოს, რასაც შეიძლება, სერიოზული შედეგები მოჰყვეს. ახალი შტამის შესახებ მიმდინარე კვლევების მონაცემები ხელმისაწვდომი უახლოეს კვირებში იქნება.**

**საჭიროა შემდგომი კვლევა, რათა კარგად გავიგოთ შეუძლია თუ არა „ომოკრონს“ კოვიდ-გადატანილების ან კოვიდ-საწინააღმდეგო ვაქცინებით აცრილი პირების იმუნიტეტისგან თავის დაღწევა. მიუხედავად იმისა, რომ ამ დროისთვის ერთგვარი გაურკვევლობაა, გონივრული იქნება ვივარაუდოთ, რომ ამჟამად ხელმისაწვდომი ვაქცინები გვთავაზობენ გარკვეულ დაცვას მძიმე დაავადებისა და სიკვდილისგან. მოვუწოდებთ ორგანიზაციის წევრ ქვეყნებს, დააჩქარონ კოვიდ-საწინააღმდეგო ვაქცინაციის პროცესი და პარალელურად, მიიღონ შესაბამისი ზომები საერთაშორისო მოგზაურებთან დაკავშირებით“,** – აცხადებენ ჯანმო-ში.

## ᲕᲘᲜ ᲠᲐ ᲠᲔᲒᲣᲚᲐᲪᲘᲐ ᲓᲐᲬᲔᲡᲐ „ᲝᲛᲘᲙᲠᲝᲜᲘᲡ“ ᲒᲐᲕᲠᲪᲔᲚᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲛᲝ?!

„ᲝᲛᲘᲙᲠᲝᲜᲘᲡ“ შტამის გავრცელების პრევენციის მიზნით ისრაელმა და იაპონიამ უცხოეთის მოქალაქეებისთვის საზღვრები ჩაკეტეს. ხოლო რამდენიმე სახელმწიფომ აფრიკის რეგიონის 7–8 ქვეყანასთან მიმოსვლა შეზღუდა. იმ სახელმწიფოებს შორის, რომლებმაც პრევენციულ ზომებს მიმართეს, არიან **აშშ, კანადა, დიდი ბრიტანეთი, ავსტრალია, ინდოეთი, რუსეთი, იაპონია და ევროკავშირის ქვეყნები.**

8 ქვეყნის მოქალაქეებისთვის საზღვრის კვეთასთან დაკავშირებით რეგულაციები **საქართველომაც** დააწესა.

ნებისმიერი პირი, მოქალაქეობის მიუხედავად, რომელსაც ბოლო 14 დღის განმავლობაში, აქვს შემდეგ ქვეყნებში მოგზაურობის ისტორია, საქართველოში შემოსვლისას ექვემდებარება 14-დღიან იზოლაციას საკარანტინე სივრცეში.

ᲐᲦᲜᲘᲨᲜᲣᲚᲘ ᲥᲕᲔᲧᲜᲔᲑᲘᲐ:

**სამხრეთ აფრიკა, ბოტსვანა, ზიმბაბვე, ნამიბია, ლესოტო, ესვატინი (სვაზილენდი), მოზამბიკი, მალავი.**

14-დღიანი იზოლაციის/კარანტინის დასრულების შემდეგ პირებს ჩაუტარდებათ ზსკ-კვლევა. საკოორდინაციო საბჭო აღნიშნავს, რომ საქართველოს მოქალაქეების შემთხვევაში საკარანტინე სასტუმროსა და PCR-კვლევის ხარჯებს ფარავს სახელმწიფო, ხოლო უცხო ქვეყნის მოქალაქეების შემთხვევაში – თავად უცხო ქვეყნის მოქალაქე. შეზღუდვა 28 ნოემბრიდან ამოქმედდა.

# საფეხბურთო მოზაიკა

**ახალი** სტადიონის გახსნით მოგვრილი **სიხარული ზღვისპირელთა ქომაგებს აჭარული კლუბის მიერ მოპოვებულმა პირველმა ტიტულმა გაუასმაგა: „ბათუმი“ ქვეყნის მე-10 ჩემპიონია. ვულოცავთ!**

ეს მას შემდეგ მოხდა, რაც **გია გეგუჩაძის** გაწვრთნილმა გუნდმა „კრისტალ-ბეთ“ ეროვნული ლიგის ბოლოსწინა ტურის შეხვედრა წყალტუბოში 3:0 მოუგო დავით ყიფიანის თასის გათამაშების ფინალისტს „სამგურალს“, ხოლო მისმა უახლოესმა მდევარმა თბილისის „დინამომ“ ძვირფასი ქულები სტუმრად „სამტრედიასთან“ დაკარგა – 0:0.

აქამდე ოქროს მედლებს ფლობდნენ: „დინამო“, „ტორპედო“, „ვიტ ჯორჯია“, „სიონი“, „ოლიმპი“, „ზესტაფონი“, „დილა“, „სამტრედია“ და „საბურთალო“.

* * *

**ლეო მესიმ მეშვიდედ(!) მოიპოვა „ოქროს ბურთი“, ამჯერად პირველად – „პარი სენ-ჟერმენის“ მოთამაშის სტატუსით. „ფრანს ფუტბოლის“ ტრადიციული გამოკითხვის მონაწილე ჟურნალისტებმა არგენტინელს უპირატესობა ეროვნული ნაკრების მაისურით მოგებული „კოპა ამერიკისა“ და „ბარსელონაში“ ბოლო ტიტულის – ესპანეთის „კოპა დელ რეის“ მოხვეჭის გამო მიანიჭეს.**

2. ლევანდოვსკი („ბაიერნი“), 3. ჟორჟინიო („ჩელსი“). 4. კანტე („ჩელსი“). 5. ბენზემა („რეალი“).

**საუკეთესო მეკარე (იაშინის პრიზი)** – დონარუმა („პარი სენ-ჟერმენი“).

**საუკეთესო ახალგაზრდა ფეხბურთელი (რაიმონ კოპას ჯილდო)** – პედრი („ბარსელონა“).

* * *

**მსოფლიოს 2022 წლის ჩემპიონატის ევროპული კვალიფიკაციის პლეი-ოფის წილისყრით გაირკვა, რომ გაისად ყატარული ფორუმი იტალიის ან პორტუგალიის გარეშე ჩაივლის.**

ერთმატჩიან ნახევარფინალში 24 მარტს სამი საგზურისთვის მებრძოლნი ასე დაწყვილდნენ (ფინალები 29 მარტსაა დანიშნული):

**„ა“ მინი-ტურნირი.** შოტლანდია – უკრაინა, უელსი – ავსტრია (ფინალის მასპინძელია ამ უკანასკნელის გამარჯვებული).

**„ბ“ მინი-ტურნირი.** რუსეთი – პოლონეთი, შვედეთი – ჩეხეთი (ფინალის მასპინძელი – პირველი წყვილის უძლიერესი).

**„გ“ მინი-ტურნირი.** იტალია – ჩრდ. მაკედონია, პორტუგალია – თურქეთი (ფინალის მასპინძელია ბოლო შეხვედრაში საუკეთესო გუნდი).

* * *

**როგორც** იქნა, შედგა „პარი სენ-ჟერმენში“ **სერხიო რამოსის** დებიუტი. ეს „სენტ-ეტიენთან“ სტუმრად მოგებულ საფრანგეთის ლიგა-1-ის XV ტურის შეხვედრაში მოხდა, სადაც მისმა ახალმა პარტნიორმა მესიმ 3(!) საგოლე პასი შეასრულა, ხოლო ნეიმარმა კოჭის მყესები გაიწყვიტა და რამდენიმე თვე დაისვენებს.

* * *

**არგენტინის** ჩემპიონი 36-ედ გახდა „რივერ პლეიტი“, მის მარადიულ მეტოქე „ბოკა ხუნიორსს“ კი ჯერჯერობით აქტივში 28 ტიტული აქვს.

# რაგბის რაინდი 80 წლისაა

**ვინც ქართული რაგბის ისტორიას იცნობს, მურად (მურიკო) თოფურიძის სახელს იმ პატრიოტთა შორის მოიხსენიებს, რომლებიც ჩვენში საფუძველს უყრიდნენ სპორტის ამ ვაჟკაცურ სახეობას და პირველებმა მოიპოვეს აღიარება როგორც შინ, ისე საერთაშორისო სარაგბო სარბიელზე. როგორც თავდამსხმელის, მურიკოს დებიუტი 1961 წელს შედგა სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის ნაკრებში. მერე იყო თბილისის „სპარტაკი“ და „განთიადი“, 1964 წლიდან უკვე „დინამოს“ ძირითად შემადგენლობაშია და აქ დარჩა ბოლომდე. საქართველოს მრავალგზის ჩემპიონს, ერთ-ერთ პირველს მიენიჭა სპორტის ოსტატის წოდება. „განთიადში“ თამაშისას საკავშირო პროფკავშირების პირველ ჩემპიონატში მოპოვებული ბრინჯაოს მედლით დაიწყო წარმატებების ათვლა. „დინამოს“ შემადგენლობაში გახდა პირველი საკავშირო ჩემპიონატის მეორე პრიზიორი, ორგზის დაეუფლა დინამოელთა საკავშირო პირველობის ოქროს მედლებს. 1976 წელს, საფრანგეთის პროფკავშირული ნაკრების წინააღმდეგ ახალშექმნილ საქართველოს ნაკრებში პირველი საერთაშორისო შეხვედრა ჩაატარა.**

◎ მრავალჟამიერ!

რაგბი არც მოედანზე გამოსვლების შემდეგ დამთავრებულა მისთვის. ერთხანს „ლოკომოტივის“ მენეჯერ-დირექტორად იმუშავა და ახალი მიღწევებით გაამდიდრა ამ კლუბის სპორტული მატიანე. არის ვეტერან მორაგბეთა კავშირის პრეზიდიუმის წევრი, ღირსების ორდენის კავალერი. თანაგუნდელი ვეტერანები და მეგობრები, მასთან დაახლოებული რაგბის გულშემატკივრები, ჯეროვნად აფასებენ და პატივს მიაგებენ მაღალი ადამიანური ღირსებით შემკული ჩვენი საზოგადოების ერთ-ერთ გამორჩეულ პიროვნებას – მურიკო თოფურიძეს.

**დღეგრძელობა-დღემზეობა თქვენდა, 80 წლის რაინდო!**

**თენგიზ გაჩეჩილაძე,**
**საქართველოს დამსახურებული ჟურნალისტი.**

(მარცხნიდან): **მურიკო თოფურიძე, რომა ღვინიაშვილი, რევაზ კოდუა.**

◎ მუნდიალ-2023

# ციფრთა ღაღადი

**უკვე შორეული 2013 წლის ევრობასკეტზე საკალათბურთო გრანდმა ესპანეთმა 83:59 დაგვჯაბნა, ამიტომ საფუძვლიანად ვიმედოვნებდით, რომ მხოლოდ ფორმალურად მსოფლიოს მოქმედ ჩემპიონს, რომლის ღირსებასაც იმ დიდი გუნდიდან აღარავინ იცავს, ამჯერად – 2023 წლის მუნდიალის საკვალიფიკაციო ტურნირის შეხვედრაში გაცილებით ღირსეულად გავუმკლავდებოდით, მაგრამ თორნიკე შენგელიას ტრავმამ გეგმები ძირფესვიანად აგვირია და კიდევ ერთხელ დამტკიცდა, რომ საქართველოს ნაკრები მისი კაპიტნითა და ულიდეროდ ორი სხვადასხვა მცნებაა.**

## ესპანეთი - საქართველო 89:61

(23:15, 24:16, 17:10, 25:20).

**საქართველო:** შერმადინი – 21 (9 მოხსნა), მაკფადენი, ბურჯანაძე – 14-14, ჯინჭარაძე – 8, ტურძილაძე, ფხაკაძე – 2-2 ქულა. ითამაშეს აგრეთვე ბაქრაძემ, ბერიშვილმა, მაზიაშვილმა, ფევაძემ და კორსანტიამ.

**მწვრთნელი:** ილიას ზუროსი.

მრავლისმეტყველი ტაბლო სასაუბროდ მცირედ შანსს გვიტოვებს, ამიტომ მხოლოდ რამდენიმე ფაქტზე შევჩერდებით ციფრების ენით.

მასპინძლებს ქულები თორმეტივე მოთამაშემ მოუტანეს, ჩვენ კი – ზუსტად ნახევარმა.

საგულისხმოა კლუბების წარმომადგენლობის საკითხიც: თუ „ჯვაროსანთა“ ზუსტად ნახევარი სუპერლიგაში ასპარეზრობს („ოლიმპი“, „ქუთაისი“ – 2-2, „ცხუმ-აფხაზეთი“, თსუ – თითო-თითო), დანარჩენი ექვსეული კი ლეგიონერია, სერჯიო სკარიოლოს შეგირდთა სრული შემადგენლობა ბერძნულ აეკ-ში გადაბარგებული კინოს კოლომის გარდა ევროპაში უძლიერეს ესპანურ ლიგა ენდესაში დაფრინავს („უნიკახა“, „მოვისტარი“, „სარაგოსა“, „ტენერიფე“, „ბურგოსი“, „მანრესა“, „ვალენსია“, „გრან კანარია“).

წარმოიდგინეთ, მათ რომ ევროლიგის ყოჩების – „ბარსელონას“, „რეალისა“ და „ბასკონიას“ დესანტი რომ დაემატება. აღარაფერს ვამბობთ ნბა-ს ვარსკვლავებზე.

მოკლედ, მალაგის სიახლოვეს, პატარა ქალაქ ხაენში განვითარებული მოვლენებიდან ტრაგედია არ უნდა შევქმნათ და ანდალუზიური გაკვეთილიდან სათანადო დასკვნები გამოვიტანოთ.

იმავე დღეს უკრაინამ შინ 17-ქულიანი უპირატესობით დააშამათა ჩრდილოეთ მაკედონია. ჩვენ სწორედ ბალკანელებთან გავმართავთ ორ უახლოეს მატჩს: 24 თებერვალს – შინ და 27 თებერვალს – სტუმრად.

**ესპანეთი – 2, საქართველო, უკრაინა – 1-1, ჩრდილოეთ მაკედონია – 0 მოგება.**

◎ ხსოვნა

# დიდი ჩემპიონების აღმზრდელი

**რამდენიმე** დღის წინათ პოლონეთიდან სამწუხარო ინფორმაცია მოვიდა – გარდაიცვალა ღირსეული პიროვნება, ძალოსნობაში საქართველოს ნაკრების ყოფილი მთავარი მწვრთნელი, საქართველოსა და ყოფილი საბჭოთა კავშირის დამსახურებული მწვრთნელი, საერთაშორისო კატეგორიის არბიტრი, 70 წლის **ივანე (ვანო) გრიძუროვი,** რომელმაც საქართველოს ორი დიდი ჩემპიონი აღუზარდა – კახი კახიაშვილი და გიორგი ასანიძე.

სპორტის სტაჟიან გულშემატკივრებს ემახსოვრებათ, რომ გასული საუკუნის 90-იან წლებში, პოლიტიკური და ეკონომიკური სიტუაციებიდან გამომდინარე, ჩვენთან სპორტისთვის რომ არავის ეცალა, ვანო გრიქუროვი და მისი შეგირდი კახი კახიაშვილი თბილისის ძალოსნობის დარბაზში შეშის ღუმელით თბებოდნენ და ისე ვარჯიშობდნენ – 1992 წლის ბარსელონის ოლიმპიადისთვის ემზადებოდნენ.

წლების შემდეგ სამგზის ოლიმპიური ჩემპიონი კარიერის პირველ ნაბიჯებს ასე გაიხსენებს: **„ბატონმა ვანომ 1982 წლიდან ისე შემაყვარა შტანგა, რომ დარბაზიდან გამოსვლა აღარ მინდოდა. მონდომებით ვემზადებოდი, საკავშირო და საერთაშორისო ტურნირებშიც მივაღწიე წარმატებას. ერთხელ დაბალი შედეგების გამო საქართველოსა და საბჭოთა კავშირის სპორტის მესვეურებმა ყველაფერი მომიხსნეს და უკაპიკოდ დამტოვეს. დავრჩი მშიერი – გრიქუროვი მეხმარებოდა. 1992 წლის ოლიმპიადაზე ვანო სხვისი აკრედიტაციით შემოაპარეს დარბაზში. შეჯიბრებაზე გასვლის წინ ჩემი მწვრთნელი რომ დავინახე, ამან ფსიქოლოგიურად გამამხნევა, ძალის მოზღვავება ვიგრძენი და ოლიმპიური ჩემპიონობის მოპოვებაში ძალიან დამეხმარა. ვამაყობ, რომ იგი ჩემი მწვრთნელი იყო“.**

მერე იყო 2004 წლის ათენის ოლიმპიური თამაშები. სახელოვანი მწვრთნელი „ნიკეას“ დარბაზში კიდევ ერთმა შეგირდმა – საჩხერელმა გიორგი ასანიძემ აღაფრთოვანა და გაახარა, როცა ორჭიდის ჯამში ტიტულოვან მეტოქეებს აჯობა და ოქროს მედალი მოიპოვა.

**„საბერძნეთის დედაქალაქში რვა ძალოსანს ოლიმპიური ჩემპიონობის თანაბარი შანსი ჰქონდა. მათ შორის იყო ლეგენდარული პიროს დიმასი. საჭირო იყო სწორი ტაქტიკური არჩევანი, რომელიც წარმატებამდე მივიყვანდა. თანაც, უნდა გაგვთვალისწინებინა ის მძიმე ტრავმა, რომელიც არცთუ დიდი ხნის წინათ მოიშუშა გიორგიმ. იმის მიუხედავად, რომ მოწინააღმდეგეები ფიზიკურად ჩვენზე ძლიერები, ჯანმრთელები და ახალგაზრდები იყვნენ, მაინც წააგეს - ბრძოლის სწორი ტაქტიკა ავირჩიეთ და გავიმარჯვეთ. შესაძლოა, ეს ჩვენი მეორე ოქროც ყოფილიყო, მაგრამ 2000 წელს სიდნეის ოლიმპიადაზე ზედმეტი თავდაჯერებულობისთვის დავისაჯეთ. ოლიმპიურ თამაშებში საბოლოო წარმატებაა მთავარი, ჩვენ კი იმას ვანგარიშობდით, გიორგი რამდენ რეკორდს დაამყარებდა – სამს თუ ხუთს. ჩემპიონობა არც გვეეჭვებოდა, ამიტომაც დავისაჯეთ - მესამე ადგილზე გავედით. ათენში მსგავსი შეცდომა აღარ გაგვიმეორებია “,** – გვითხრა ოლიმპიადისშემდგომ ერთ-ერთ ინტერვიუში ვანო გრიქუროვმა.

სახელოვანი მწვრთნელი იმ თამაშების მერე კიდევ კარგა ხანს ავარჯიშებდა ქართველ ძალოსნებს, რამდენიმე წლის წინათ კი პოლონეთში გადავიდა საცხოვრებლად და იქაურებს ოლიმპიური თამაშების ორი პრიზიორი აღუზარდა – შიმონ კოლეცკი და ანჟეი ცოფალაკი. ქართველ ძალოსნებთანაც არ გაუწყვეტია ურთიერთობა...

ბატონი ვანოს მოულოდნელმა გარდაცვალებამ ყველას ერთობ ატკინა გული. მისი შეგირდები და სპორტის ქართველი ქომაგები ყოველთვის დიდი სიამაყით გაიხსენებენ დიდი ოსტატის სახელს.

**ლექსო ცინცაძე**

# ევროპული გრანტი ქალაქებში კულტურის განვითარებისთვის



**თბილისში, EU$Culture-ი, საქართველოში ევროკავშირის წარმომადგენლობის მხარდაჭერით, პრეს-კონფერენციასა და 3 შერჩეული ქალაქის დაჯილდოების ცერემონიას გამართავს, რომლებიც მიიღებენ 30 000 ევროს ოდენობის გრანტს კულტურის განვითარების სტრატეგიების მოსამზადებლად.**

კონკურსი 2021 წლის მაისში გამოცხადდა და მისი მიზანია, მხარი დაუჭიროს ქალაქებს კულტურის განვითარების იმ სტრატეგიების მომზადებაში, რომლებიც ევროპული კულტურული დედაქალაქების მიდგომებს შეესაბამება. კონკურსში მონაწილეობა მიიღო 70-მა ქალაქმა აღმოსავლეთ პარტნიორობის 5 ქვეყნიდან: **აზერბაიჯანი, მოლდოვა, საქართველო, სომხეთი და უკრაინა. სააპლიკაციო განცხადებების შეფასების შემდეგ, საქართველოდან 3 ქალაქი შეირჩა: ზუგდიდი, ფოთი და ქუთაისი.**

შერჩეული ქალაქები მიიღებენ მაქსიმუმ 30,000 ევროს ოდენობის გრანტს კულტურის განვითარების სტრატეგიის მოსამზადებლად. დოკუმენტზე მუშაობის 6-თვიანი პერიოდი 1-ლი დეკემბრიდან დაიწყება. საბოლოოდ კი, სამი ქალაქიდან ერთ-ერთი ქალაქი მოიპოვებს 300,000 ევრომდე დაფინანსებას საკუთარი სტრატეგიის განსახორციელებლად.

EU$Culture-ი ევროკავშირის მიერ დაფინანსებული ოთხწლიანი პროექტია, რომლის მთავარი ფოკუსიც კულტურისა და შემოქმედებითი ინდუსტრიის მხარდაჭერაა აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნების არადედაქალაქ ქალაქებში. პროექტის მიზანია კულტურის და შემოქმედებითი ინდუსტრიის როლის გაზრდა ქვეყნის ეკონომიკური და სოციალური განვითარების პროცესში. პროექტს ახორციელებენ გოეთეს ინსტიტუტი (წამყვანი პარტნიორი), დანიის კულტურის ინსტიტუტი, ჩეხეთის ცენტრები და საქართველოს ფრანგული ინსტიტუტი.

**ახალგაზრდობიდან ახლო მეგობრები და კოლეგები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა დიდი პროფესიონალი ინჟინერ-მშენებელი, საგეგმო კომიტეტის, მთავრობისა და ხელმძღვანელ პარტიულ აპარატში პასუხისმგებელი თანამშრომელი, საუკეთესო ადამიანური თვისებებისა და სიკეთით განწყობილი ქალბატონი**

## ნონა მაჩაბელი

**და სამძიმარს უცხადებენ მის ოჯახს.**

**გივი აბდუშელიშვილი, კოტე ჟღენტი, გია რამიშვილი, თენგიზ უჩანეიშვილი, რამინ ძეცბაია, თამაზ ძოიავა, ბიჭიკო ჯანჯღავა.**

# ევროპის უმაღლესი დასახლება კავკასიის მთების სიღრმეშია...

**საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის მარკეტინგული კამპანიის ფარგლებში, სამოგზაურო გამოცემა Fodors Travel-ი საქართველოს ტურისტული მიმართულების შესახებ ს აქვეყნებს.**

ონლაინგამოცემას 5 მილიონამდე მკითხველს ჰყავს და მოგზაურობის მოყვარულებს საჭირო გამოცდილებას უზიარებს, რეკომენდაციებს უწევს ტურისტული მიმართულებების, სასტუმროების, კულტურული ადგილებისა და კვების ობიექტების შესახებ.

**„ევროპის ერთ-ერთი უმაღლესი დასახლება სულაც არ არის იქ, სადაც თქვენ ფიქრობთ“,** — ამ სათაურით, სტატიის ავტორი სვანეთის აღწერას იწყებს.

**„ის კავკასიის მთების სიღრმეშია, ცივილიზაციიდან მოშორებული, იზოლირებული მთის რეგიონი ცაში დაცურავს. იმდენად შორს არის, რომ ბატონი არ ჰყოლია. ამიტომ შემორჩა ასეთი ველური, მისტიკური და ცნობისმოყვარე თვალისგან დამალული. სვანეთს კავკასიონის მთები ფარდასავით ეფარება. თუ გსურთ თოვლით დაბურული მთების, ღრმა ხეობების, უძველესი სოფლების ნახვა და სუფთა ჰაერის შეგრძნება თავგადასავლების მოყვარულებს წინ რთული გზა გაქვთ. ეს სვანეთია...“,** — წერს Fodors Travel-ის ჟურნალისტი და დეტალურად აღწერს მესტიას, სვანეთის სამთო კურორტებს, სვანეთში ბათუმიდან და თბილისიდან მოხვედრის შესაძლებლობებს.

სტატიაში აღწერილია მესტიის მუზეუმი, უშგული, სვანური კოშკები და სვანეთის კავკასიონის მწვერვალები.

Fodors Travel-ის ჟურნალისტი მკითხველს საქართველოს ეკონომიკის მინისტრის მოადგილის მარიამ ქვრივიშვილთან ინტერვიუს სთავაზობს.

**„წარმოიდგინეთ, რომ ეწვიეთ უძველეს სოფლებს, რომლებიც კავკასიონის მთებში მშვენიერ ტყეებთან ახლოს მდებარეობს, სადაც ულამაზესი პეიზაჟებია, აქ ნახავთ საუკუნეების წინ ნაგებ ლამაზ ქვის კოშკებს. მნიშვნელობა არ აქვს, როგორი მოგზაური ხარ, მოგწონს გარე თუ შიდა აქტივობა, ყველამ უნდა მიიღოს ეს გამოცდილება, რადგან სვანეთს თითოეული ვიზიტორისთვის უჩვეულო და შეუდარებელი ემოციების მოტანა შეუძლია. საუკუნეების განმავლობაში, სტუმარი იშვიათი იყო, ამიტომ მასპინძლები განსაკუთრებული სიხარულით ხვდებოდნენ თითოეულ სტუმარს, ვინც მათ კარზე დააკაკუნებდა და განსაკუთრებით უმასპინძლდებოდნენ“,** — აცხადებს მარიამ ქვრივიშვილი Fodors Travel-თან.

კამპანიის ფარგლებში, სხვადასხვა სახის სტატიასა და ვიდეორგოლს გერმანიაში, საფრანგეთში, ესპანეთში, პოლონეთში, ლიეტუვაში, ლატვიაში, ესტონეთში, აშშ-ში, ისრაელში, საუდის არაბეთსა და არაბთა გაერთიანებული საემიერობში მილიონობით ადამიანი გაეცნობა. მასშტაბური კამპანია ნოემბერში დაიწყო და იანვრის ბოლომდე გაგრძელდება.






**მეუღლე დალი ჩიქოვანი, შვილი დეიკო ბახტაძე, შვილიშვილები ქეთი, მაკა ბეჟიტაშვილები, შვილთაშვილები ელენე, ანასტასია, ანა ზვიადაძეები, სიძეები ზაზა ბეჟიტაშვილი, თორნიკე ზვიადაძე, მძახლები მამა გიორგი და დალი ზვიადაძეები იუწყებიან**

## არჩილ (აჩიკო) გიორგის ძე ბახტაძის

**გარდაცვალებას.**

**პანაშვიდი 1 XII, 16 საათზე, რუსთაველის ქ. №24, დაკრძალვა 2 XII, 14 საათზე. გამოსვენება სიონის საკათედრო ტაძრიდან.**

## მიხეილ (მიშა) ჩაჩანიძე

**ქართველ მშენებელთა კოჰორტას კიდევ ერთი გამორჩეული, კეთილშობილებით სავსე კაცი გამოაკლდა...**

**თბილისის კოლორიტულ უბანში — სოლოლაკში დაბადებულსა და გაზრდილს, ვაჟთა მე-3 სკოლასა და პოლიტექნიკური ინსტიტუტის სამშენებლო ფაკულტეტზე გატარებული წლებიც შთამბეჭდავი ჰქონდა. მისი მრავალრიცხოვანი სამეგობრო წრე შემდგომში საქართველოს იმდროინდელ ისტორიას ქმნიდა!**

**მიშა ჩაჩანიძე — უბრალოებით, მოყვასისადმი სითბოთითა და სიყვარულით სავსე კაცი, რომლისთვისაც ცნება „ბოროტება“ უცხო იყო და ამიტომაც სიყვარულით „დობრი მიშკა“ შეარქვეს...**

**მეგობრობით, უღალატობით, საქმისადმი უდიდესი პასუხისმგებლობით გამორჩეულს პრინციპებისთვის არასოდეს უღალატია და არაერთი მაღალი თანამდებობის მიუხედავად, წესიერება და ღირსება არასოდეს დაუკარგავს...**

**ბედისწერის მკაცრი განაჩენის შემდეგაც საკუთარი ტკივილით არავინ შეუწუხებია და მეგობრებისა და ახლობლებისთვის მუდამ მანუგეშებელი, გვერდში მდგომი, სასურველი და ხალისიანი იყო!**

**უფალმა აცხონოს მისი სული და დაამკვიდროს, სადაც მართალნი განისვენებენ!**

**საახლოგლო**

# ავიაციამ თუშეთის მიმართულებით სამოქალაქო რეისები განაახლა

საავტომობილო გზის გახსნამდე განაახლონ სამშენებლო-სარემონტო სამუშაოები, რაც მნიშვნელოვნად უწყობს ხელს ადგილობრივი ტურიზმის განვითარებას.

**შინაგან საქმეთა სამინისტროს სასაზღვრო პოლიციის ავიაციამ ალვანიდან თუშეთის მიმართულებით რეგულარული რეისები განაახლა. ვერტმფრენმა განახლებული სამოქალაქო რეისით სოფელ ომალოში პირველი მგზავრები უკვე გადაიყვანა.**

სასაზღვრო პოლიციის ვერტმფრენი საავტომობილო გზის ამოქმედებამდე, ადგილობრივი მოსახლეობის საჭიროებების უზრუნველსაყოფად, ომალოსა და მიმდებარე სოფლებში რეგულარულად იფრენს და მესაზღვრეებთან ერთად, ადგილობრივ მოსახლეობასაც მოემსახურება.

ვერტმფრენის რეისები კოვიდრეგულაციების სრული დაცვით სრულდება.

რეისების დანიშვნის შედეგად, თუშეთში, ზამთრის პერიოდში მოსახლეების რაოდენობა გაიზარდა. მათ, ასევე, შესაძლებლობა აქვთ

რედაქციის
„საქართველოს რესპუბლიკაში“
ვაჟა ფშაველას ქ. №48
599 79-76-79; 568 82-09-84

# ᲓᲔᲓᲐᲥᲐᲚᲐᲥᲘ ᲡᲐᲐᲮᲐᲚᲬᲚᲝᲓ ᲔᲛᲖᲐᲓᲔᲑᲐ

ᲓᲔᲓᲐᲥᲐᲚᲐᲥᲘᲡ მერის განცხადებით, ქალაქის მთავარი ნაძვის ხისა და საახალწლო ილუმინაციების ანთება 10 დეკემბერს იგეგმება. სადღესასწაულო დღეებში ასევე მოეწყობა საახალწლო სოფელი, სადაც სტუმრებს მრავალფეროვანი გასართობი ღონისძიებები დახვდებათ.

**„საახალწლო ილუმინაციების მონტაჟი მიმდინარეობს, რომელიც რამდენიმე დღეში დასრულდება. ამის შემდეგ ნაძვის ხე აეწყობა. 10 დეკემბრისთვის მინდა, რომ ნაძვის ხე და ზოგადად, ქალაქში ილუმინაციები აინთოს. ძალიან ლამაზი იქნება ჩვენი დედაქალაქი, როგორც ყოველთვის. გარდა ამისა, თბილისის მოსახლეობას და არა მარტო, ასევე, ამ ქვეყანაში მცხოვრებ ადამიანებს, ჩამოსულ სტუმრებს სასიამოვნო დღეების გატარებას ვპირდებით. იქნება საახალწლო სოფელი, სადაც არა მარტო ბავშვებისთვის, არამედ ყველა თაობის ადამიანისთვის იქნება დროის სასიამოვნოდ გატარების შესაძლებლობა კონცერტებით, გასართობი პროგრამით, საბავშვო ღონისძიებებით. ყველაფერი უნდა გავაკეთოთ იმისათვის, რომ ამ მძიმე, ორწლიანი პერიოდის შემდეგ, რაც პანდემიას ვებრძვით და ეს ბრძოლა ისევ გრძელდება, საზოგადოებას მივცეთ განტვირთვის საშუალება. ახალი წელი არის ახალი იმედების, სურვილების, სიკეთეების მომტანი. ყველაფერი ცუდი, რაც იყო, უნდა გავატანოთ წარსულს და ახალი იმედებით უნდა შევხვდეთ ახალ 2022 წელს“** — განაცხადა კახა კალაძემ.

## ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲑᲘᲢᲙᲝᲘᲜ-ᲥᲐᲚᲐᲥᲘ




**ᲡᲐᲚᲕᲐᲓᲝᲠᲛᲐ მსოფლიოში პირველი ბიტკოინ-ქალაქის მშენებლობა დაანონსა. ბიტკოინ-სიტი იქნება ქალაქი სადაც, კრიპტოვალუტის მაინინგი ვულკან კონჩაგუას ენერგიაზე იქნება შესაძლებელი. ბიტკოინ-სიტის მოსახლეობა დღგ-ის გარდა, ყველა გადასახადისგან გათავისუფლდება. დღგ-ის გადასახადებიდან ბიუჯეტში შესული თანხის ნახევარი კი ისევ ბიტკოინ-სიტის განვითარებას მოხმარდება.**

ლა-უნიონის დეპარტამენტში ქალაქის მშენებლობისთვის სალვადორი 1 მილიარდი დოლარის ბიტკოინ-ობლიგაციებს გამოუშვებს. ინფრასტრუქტურის დიდი ნაწილის შესაქმნელად 300 000 ბიტკოინი დაიხარჯება. ბიტკოინ-სიტის მრგვალი, მონეტის ფორმის იქნება.

**„საცხოვრებელი და კომერციული რაიონები, მუზეუმები, ბარები, რესტორნები, აეროპორტი, პორტი, რკინიგზა — ყველაფერი ბიტკოინს მიეძღვნება“,** — განაცხადა სალვადორის პრეზიდენტმა ნაიბ ბუკელემ. მიმდინარე წლის ივლისში სალვადორი გახდა მსოფლიოს პირველი ქვეყანა, რომელმაც ბიტკოინი გადახდის ლეგალურ ერთეულად აღიარა. ქვეყნის ეკონომიკა ემიგრანტების მიერ გამოგზავნილ ფულად გზავნილებზეა დამოკიდებული. გზავნილების წლიური ჯამი დაახლოებით 6 მილიარდ დოლარს შეადგენს.

## ᲡᲘᲧᲕᲐᲠᲣᲚᲘ... ᲘᲜᲓᲣᲠᲐᲓ

**52 ᲬᲚᲘᲡ ინდოელმა ბიზნესმენმა თავისი ცოლისთვის თაჯ-მაჰალის ფორმის სახლი ააშენა. გამოცემის ინფორმაციით, ქალაქ ბურანპურში სახლის აშენება 260 ათასი დოლარი დაჯდა. ანანდ პრაკაშ ჩუქსი აცხადებს, რომ ეს მისი ცოლისთვის, მანჯუშასთვის და ქალაქისთის საჩუქარია.**

თაჯ-მაჰალი მე-17 საუკუნეში, ქალაქ აგრაში მოგოლთა იმპერატორის, შაჰ-ჯაჰანის შეკვეთით მისი მეუღლისთვის, მუმთა მაჰალისთის აგებული მარმარილოს მავზოლეუმია, რომელსაც ყოველდღიურად 70 ათასი ადამიანი სტუმრობს. ჩუქსის მიერ აგებული სახლიც დიდი პოპულარობით სარგებლობს. ადგილობრივები მის წინ ფოტოებს იღებენ.



**„მათ ამას არ ვუშლი, იმიტომ რომ ჩვენს ქალაქში ერთმანეთთან ახლოს ვართ და ყველა ყველას იცნობს. ამიტომ ჩემი სახლი ყველასთვის ღიაა“,** — ამბობს ბიზნესმენი.

## ᲕᲘᲡ ᲖᲐᲠᲔᲑᲡ ᲞᲐᲡᲣᲮᲝᲑᲡ ᲓᲔᲓᲝᲤᲐᲚᲘ?

**ᲒᲐᲔᲠᲗᲘᲐᲜᲔᲑᲣᲚᲘ სამეფოს დედოფალი ელისაბედი მხოლოდ ორი ადამიანისგან შემავალ სატელეფონო ზარებს პასუხობს,** — ამის შესახებ Fox News-ი სამეფო ექსპერტის, ჯონათან საკერდოტის განცხადებაზე დაყრდნობით წერს. როგორც ირკვევა, მონარქთან ყოველგვარი წინაღობის გარეშე დარეკვა მხოლოდ ქალიშვილს, პრინცესა ანასა და ცხენებისა და დოღის საკითხებში სამეფო კარის მენეჯერს, ჯონ უორენს შეუძლიათ.

საკერდოტი ასევე ამბობს, რომ დედოფალს Samsung-ის ტელეფონი აქვს, რომელიც დაცულია ჰაკერების თავდასხმისგან.

## ᲒᲐᲗᲐᲛᲐᲨᲓᲐ ᲙᲝᲡᲛᲝᲡᲨᲘ ᲒᲐᲡᲐᲛᲒᲖᲐᲕᲠᲔᲑᲔᲚᲘ ᲝᲠᲘ ᲑᲘᲚᲔᲗᲘ




**ᲙᲐᲠᲘᲑᲘᲡ ზღვის მცირე სახელმწიფოს — ანტიგუა და ბარბუდას მოქალაქემ ლატარიაში Virgin Galactic-ის კოსმოსური სუბორბიტალური ფრენის ორი ბილეთი მოიგო. გამარჯვებულს ამის შესახებ Virgin Galactic-ის დამფუძნებელმა, მილიარდერმა რიჩარდ ბრენსონმა პირადად აცნობა.**

ლატარიის გამარჯვებულმა თქვა, რომ ის ყოველთვის ოცნებობდა კოსმოსში გამგზავრებაზე. იგი იმედოვნებს, რომ კოსმოსში საკუთარ ქალიშვილს წაიყვანს, რომელიც ასტროფიზიკას სწავლობს. კეიშა იქნება პირველი ადამიანი კარიბის ზღვის ქვეყნიდან, რომელიც გაემგზავრება კოსმოსში. ზუსტად როდის განხორციელდება ფრენა, ჯერ არ არის დაზუსტებული.

## ᲑᲔᲓᲘᲡ ᲐᲛᲐᲡ ᲰᲥᲕᲘᲐ...

**ᲐᲨᲨ-ᲨᲘ, მერილენდში ქალმა ლატარეაში 3 წლის განმავლობაში მესამედ მოიგო. 61 წლის დიასახლისმა რამდენიმე დღის წინ ადგილობრივ მაღაზიაში ლატარეის 2 გადასაფხეკი ბილეთი იყიდა, რომელთა საერთო ღირებულებაც 10 დოლარს შეადგენდა. ერთ-ერთმა ბილეთმა მას 50 ათასი დოლარი მოუტანა.**

ლატარეის კომპანიაში კი აცხადებენ, რომ ქალმა 50 ათასი დოლარი ამ მაღაზიაში ნაყიდი ბილეთებით ბოლო 3 წლის განმავლობაში უკვე მესამედ მოიგო. პირველად მან იღბლიანი ბილეთი 2018 წლის აგვისტოში მოიგო, შემდეგ კი კიდევ 50 ათასი ამავე წლის ოქტომბერში შეხვდა.

თავად ქალი, რომლის ვინაობაც არ საჯაროვდება, ამბობს, რომ მესამე მოგება მისთვის შოკისმომგვრელი აღმოჩნდა. **„უბრალოდ ვერ ვიჯერებდი, ისევ?!“** — ამბობს ის.

## ᲞᲠᲘᲜᲢᲔᲠᲖᲔ ᲓᲐᲑᲔᲭᲓᲘᲚᲘ ᲗᲕᲐᲚᲘᲗ...

**ᲚᲝᲜᲓᲝᲜᲘᲡ მკვიდრი სტივ ვერზი გახდა ისტორიაში პირველი ადამიანი, რომელსაც 3D-პრინტერზე დაბეჭდილი თვალი წარმატებით ჩაუსვეს.**

ხელოვნური თვალი ტრადიციულ ანალოგებთან შედარებით უფრო რეალისტურია და უფრო სწრაფად მზადდება.

**„20 წლის ასაკიდან თვალის პროთეზს ვიყენებ. როდესაც სახლიდან გამოვდიოდი, სარკეში ვიყურებოდი და ძველი პროთეზი არ მომწონდა. ახალი თვალი ფანტასტიკურად გამოიყურება, 33-ბეჭდვის ტექნოლოგიის განვითარებასთან ერთად ის კიდევ უფრო დაიხვეწება“,** — ამბობს 47 წლის სტივ ვერზი. აღსანიშნავია, რომ თუ ჩვეულებრივი პროთეზის დასამზადებლად 6 კვირაა საჭირო, 3D-პროთეზი 2-3 კვირაში მზადდება.

## ᲐᲦᲛᲝᲐᲩᲘᲜᲔᲡ ᲣᲫᲕᲔᲚᲔᲡᲘ ᲡᲐᲛᲙᲐᲣᲚᲘ

**ᲞᲝᲚᲝᲜᲔᲚᲛᲐ არქეოლოგებმა მამონტის ეშვისგან დამზადებული კულონი აღმოაჩინეს, რომლის ასაკიც 41 500 წელს შეადგენს. სპეციალისტები ვარაუდობენ, რომ ეს ევრაზიაში უძველესი სამკაულია. კულონი ორი ნაწილისგან შედგება.**

სავარაუდოდ მას კისერზე ატარებდნენ, თუმცა ამის მტკიცებულება არ არსებობს. კვლევის მთავარი ავტორი სახრა ტალამო აღნიშნავს, რომ კულონი იმ დროს შექმნეს, როდესაც ადამიანებმა სამკაულების კეთება მთელი პლანეტას მასშტაბით დაიწყეს.

აღმოჩენა გამოქვაბულ სტაინაში გააკეთეს, რომელშიც 2008 წელს არქეოლოგებმა ცხოველების ძვლები და ნეანდერტალელების ნეშტები აღმოაჩინეს.

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲐ
SAKARTVELOS RESPUBLIKA
ᲕᲐᲟᲐ ᲤᲨᲐᲕᲔᲚᲐᲡ №48
ᲢᲔᲚ: 239-03-43

ᲛᲗᲐᲕᲐᲠᲘ ᲠᲔᲓᲐᲥᲢᲝᲠᲘ
ᲡᲞᲐᲠᲢᲐᲙ ᲯᲝᲑᲣᲚᲘᲐ
599 36-00-35

�პᲐᲡᲣᲮᲘᲡᲛ�გᲔᲑᲔᲚᲘ ᲠᲔᲓᲐᲥᲢᲝᲠᲔᲑᲘ:
ᲒᲣᲠᲐᲛ ᲒᲝᲒᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘ
599 53-76-16;
ᲐᲚᲔᲥᲡᲘ ᲐᲡᲚᲐᲜᲘᲨᲕᲘᲚᲘ
599 56-81-86;

ᲞᲐᲡᲣᲮᲘᲡᲛ�გᲔᲑᲔᲚᲘ ᲛᲓᲘᲕᲐᲜᲘ
ᲛᲐᲛᲣᲙᲐ ᲕᲐᲨᲐᲙᲘᲫᲔ
514 33-33-24

ᲒᲐᲛᲝᲛᲪᲔᲛᲚᲔᲑᲘ:
ᲨᲞᲡ „ᲐᲮᲐᲚᲘ ᲡᲐᲣᲙᲣᲜᲔ — ᲒᲐᲖᲔᲗᲘ „ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲘᲡ“ ᲒᲐᲛᲝᲛᲪᲔᲛᲔᲚᲘ“
599 53-76-16; 599 36-00-35
ᲨᲞᲡ „ᲗᲐᲜᲐᲓᲒᲝᲛᲐ -1-ᲒᲐᲖᲔᲗᲘ „ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲘᲡ“ ᲒᲐᲛᲝᲛᲪᲔᲛᲔᲚᲘ“
ᲢᲔᲚ: 599 79-76-79
ᲘᲑᲔᲭᲓᲔᲑᲐ ᲡᲢᲐᲛᲑᲐ
„ᲙᲝᲚᲝᲠᲨᲘ“
Ე. ᲑᲐᲦᲓᲐᲕᲐᲫᲘᲡ №3
ᲙᲝᲚᲝᲠ ᲯᲒᲣᲤᲘ

uac(უაკ)070.4(479.22)
ს—323
2 009882 616932

ᲐᲕᲢᲝᲠᲗᲐ ᲧᲐᲓᲣᲠᲐᲓᲦᲔᲑᲝᲓ!
ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲘᲡ ᲛᲘᲔᲠ ᲨᲔᲣᲙᲕᲔᲗᲐᲕᲘ ᲛᲐᲡᲐᲚᲔᲑᲘ ᲓᲐᲘᲑᲔᲭᲓᲔᲑᲐ ᲐᲕᲢᲝᲠᲗᲐ ᲮᲐᲠᲯᲘᲗ. ᲐᲕᲢᲝᲠᲗᲐ ᲛᲝᲡᲐᲖᲠᲔᲑᲔᲑᲘ, ᲨᲔᲡᲐᲫᲚᲝᲐ, ᲛᲣᲓᲐᲛ ᲐᲠ ᲔᲛᲗᲮᲕᲔᲕᲝᲓᲔᲡ ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲘᲡ ᲞᲝᲖᲘᲪᲘᲐᲡ. ᲤᲐᲥᲢᲔᲑᲘᲡ ᲡᲘᲖᲣᲡᲢᲔᲖᲔ ᲞᲐᲡᲣᲮᲡ ᲐᲒᲔᲑᲔᲜ ᲐᲕᲢᲝᲠᲔᲑᲘ.

ᲒᲐᲖᲔᲗᲘᲡ ᲛᲝᲛᲓᲔᲕᲜᲝ ᲜᲝᲛᲔᲠᲘ ᲒᲐᲛᲝᲕᲐ ᲞᲐᲠᲐᲡᲙᲔᲕᲡ, 3 ᲓᲔᲙᲔᲛᲑᲔᲠᲡ

ᲣᲪᲮᲝᲣᲠᲘ ᲕᲐᲚᲣᲢᲘᲡ ᲙᲣᲠᲡᲘ:
ᲐᲨᲨ ᲓᲝᲚᲐᲠᲘ - 3.0867; ᲔᲕᲠᲝ - 3.4849;
ᲑᲠᲘᲢᲐᲜᲔᲚᲘ ᲒᲘᲠᲕᲐᲜᲥᲐ ᲡᲢᲔᲠᲚᲘᲜᲒᲘ - 4.1204;
100 ᲠᲣᲑᲚᲘ - 4.1200; ᲗᲣᲠᲥᲣᲚᲘ ᲚᲘᲠᲐ - 0.2441;
ᲐᲖᲔᲠᲑᲐᲘᲯᲐᲜᲣᲚᲘ ᲛᲐᲜᲐᲗᲘ - 1.8153;
1000 ᲡᲝᲛᲮᲣᲠᲘ ᲓᲠᲐᲛᲘ - 6.3578.

ᲐᲛᲘᲜᲓᲘ 1 ᲓᲔᲙᲔᲛᲑᲠᲘᲡᲗᲕᲘᲡ
ᲐᲦᲛᲝᲡᲐᲕᲚᲔᲗᲘ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝ:
ᲑᲐᲠᲘ - ᲦᲐᲛᲔ +5, ᲓᲦᲔ +13
ᲛᲗᲘᲐᲜᲘ ᲠᲐᲘᲝᲜᲔᲑᲘ - ᲦᲐᲛᲔ +2, ᲓᲦᲔ +8
ᲓᲐᲡᲐᲕᲚᲔᲗᲘ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝ:
ᲑᲐᲠᲘ - ᲦᲐᲛᲔ +7, ᲓᲦᲔ +12
ᲛᲗᲘᲐᲜᲘ ᲠᲐᲘᲝᲜᲔᲑᲘ - ᲦᲐᲛᲔ +3, ᲓᲦᲔ +8
ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ: ᲦᲐᲛᲔ +9, ᲓᲦᲔ +10

ᲓᲐᲒᲕᲘᲠᲔᲙᲔᲗ, ᲛᲝᲒᲕᲬᲔᲠᲔᲗ:
ᲢᲔᲚ: 296-72-86, 599-79-76-79, 568-82-09-84
ᲔᲚ. ᲤᲝᲡᲢᲐ: sakresp@mail.ru
ᲓᲐ sakresp@top.ge
ᲕᲔᲑ-ᲒᲕᲔᲠᲓᲘ: www.sakresp.ge